

619 / 2  
1958

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



**დროშა**  
№ 2 თებერვალი 1958






საგუშაგოზე!

ფოტოგრაფი ვ. ჯეირანოვისა.





7446

**სმარტნიკი**  
კომუნისტებისა და უპარტიოების  
გლოხის კანდიდატებს!







# 25-თებერვლის ქუჩაზე

## ნოდარ ნულისკირი

ფოტო ვ. ჯეირანოვისა

25

თებერვლის ქუჩა ახალ საქართველოსთან ერთად დიბადა. ამ ქუჩაზე ერთი სახლია, — № 10. ეს სახლიც საბჭოთა საქართველოს პირველ წლებშია აშენებული. მას შემდეგ აქ ცხოვრობენ ადამიანები მყუდროდ, მშვიდად, მუშაობენ, ისვენებენ, ფიქრობენ, კითხულობენ, იძინებენ, ისე როგორც თვითმეტ ნომერში, თორმეტ ნომერში... ანდა სხვაგან — პლუზანოვის ქუჩაზე, საბჭოს ქუჩაზე...

ეს სახლი უბრალოა, წითელი აგურისაგან ნაშენი, სამსართულიანი, ასეთი სახლები ბევრია თბილისში, მათ ისე ჩაუვლი, ყურადღებასაც არ მიაქცევენ, აი, ისე, როგორც ხეს ჩაუვლი ტყეში, ანდა კაცს პროსპექტზე. პატარა ეზო აქვს, ზედა სართულები შუშაბანდიანი. ღამე ძინავს სახლს, დილით ახმაურდება, დაიწყება ჩხაკუნნი, კაკუნნი, კარების ჭრიალი, წყლის ჩხრიალი, ჩაირთვება ელექტროლუმენები, აშიშინდება ჩაიდანნი. შუშაბანდიანში გამოჩნდებიან პირსახოციანი მამაკაცები, დიასახლისები ცოცხით ხელში დატრიალებენ ოთახებში. შემდეგ, ზოგან გასაღებები გაიჩხაკუნებს, ზოგან — ბავშვი მიატირებს დედას და სამსახურში წაუღენ ადამიანები. დაწყნარდება ეზო. ვინმე მოხუცი თუ გამოფთვურდება აივანზე, ანდა შინ დარჩენილი დიასახლისი თუ მოიტანს ბაზრიდან სანოვაგეს და საერთო სამზარეულოში დატრიალდება, ანდა კიდევ — სტუდენტები და მოსწავლეები თუ დაარღვევენ მყუდროებას და კიბეებზე ამოირბენენ სკოლიდან დაბრუნებულნი, თუ არა და, სიჩუმეა, უკაცურობაა საღამომდე. საღამოს მოვლენ დედები და მამები. საღამოს ისევ ახმაურდება ეზო.

ვინ არიან ამ სახლის მკვიდრნი? ვინ აცოცხლებს წითელი აგურისაგან ნაშენ მუნჯ კედლებს? — ესენი ჩვენი ადამიანები არიან, ჩვენი საზოგადოების ჩვეულებრივი, რიგითი წევრები, რომელთაც ყოველდღე ვხვდებით ქუჩაში, მაგრამ არ ვიცნობთ, არ ვიცით მათი წარსული და აწმყო, მათი პირადი ცხოვრება, მათი ტყვიანობა და სიხარული.

მე მინდა გიამბოთ ამ ადამიანებზე, გავაცნოთ ზოგი მათგანი, რომლებიც ამ სახლში ცხოვრობენ, 25 თებერვლის ქუჩაზე, ათ ნომერში.

\*\*\*

მესამე სართულზე, განმარტებით, ერთ ოთახში ცხოვრობს მოხუცი ევლოკია. მას დიდი და საინტერესო წარსული აქვს.

ეს იყო ორმოცი წლის წინათ. ჩოდრიშვილებს პატარა სახელოსნო ჰქონდათ ამ ქუჩაზე. ევლოკია მუდამ მხარში ედგა თავის მეუღლეს — მიხას, მის ჰირ-ვარაშ იზიარებდა. მუდამ იმ პატარა სახელოსნოში ტრიალებდა ევლოკია და მიხას თანამებრძოლებისაგან დავალებებს იღებდა. ევლოკია იყო მათი გაჭირვების ტალკვესი.

ერთხელ, შეღამებისას, მიხა ჩოდრიშვილი, გიორგი ლაფანაშვილი და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა „საქმეებს“ აგვარებდნენ, სახელოსნოში შემოვიდა კინტო, რომელსაც თავზე დიდი თაბახი ედგა.

— თევზი, აბა, კარგი თევზი! — ჩაიბუხუნა კინტომ კარებში.

— ძველია? — თავაულებლად იკითხა მიხამ.

— ძველია, ძალიან ძველი! — თქვა ჩუმად კინტომ.

მიხამ ის „თევზები იყიდა“... ის კინტო კამო იყო...

თევზებს ქვემოთ პროკლამაციები ეწყო თაბახზე.

„ხელოსნებმა“ ევლოკია სასწრაფოდ გაგზავნეს ქალაქში „თევზების გასაყიდად“. ახსოვს ევლოკიას, რა გულისფანტკალით ყრიდა პროკლამაციებს თბილისის ქუჩებში, დადიოდა თვალბლანცეებულნი, დაძაბული, ყოველი ადამიანი ეჭვსა და შიშს იწვევდა, დადიოდა და ცალ ხელს ჯიბეში რევოლვერს არ აშორებდა.

ერთხელ კიდევ, მაშინ რეაქცია მძვინვარებდა საქართველოში, ჩოდრიშვილებთან პოლიციელები შემოცვივდნენ, მიხა იკითხეს.

— მიხა რუსეთშია წასული, ბატონო! — მშვიდად მიუგო ევლოკიამ.

— სულ ერთია ჩაგვაბარეთ იარაღი! — დასკეცა პორუჩიკმა.

— კი, გენაცვალე, დამშვიდდით, ნუ ყვირით, თუ ეს თქვენთვის საჭიროა?!... — გაიოცა ევლოკიამ და ისინი სარდაფში ჩაიყვანა.

— ინებეთ, ბატონო! — თქვა ევლოკიამ და პოლიციელებს მაგიდაზე მიუთითა, სადაც ელაგა სახელოსნო იარაღები: ნაჯახი, ხერხი, ხელჩო, სხვადასხვა ზომის ჩაქუჩები, ლურსმნები და ათასი სხვა წვრილმანი.

ახალგაზრდები სტუმრად ევლოკია ჩოდრიშვილთან.





— ჩორტი — შესძახა პორუჩიკმა, მთარხი ლონიერად გაიქინა ჰაერში და კარებისაკენ გაემართა, იგი გახარებული ჩაიღილა სარდაფში, ეგ არის, ვიპოვე ბოლომედიკების ბუნავიო და, ასე მწარედ რომ მოტყუვდა, გადართა, კარებთან შეჩერდა, შემოტრიალდა და შესძახა:

— გაჩხრკით სახელოსნო!  
გაჩხრკეს, ვერაფერი იპოვეს. წაიღინა. ევლოკიამ ამოისუნთქა. იარაღი კედლებში ჰქონდათ. ეს მისამ გააკეთა თავისი ხელით: გამოანგრია კედელი, გააკეთა დიდი ხვრელი მიწის სარდაფში, შეაწყო იარაღი და კედელი ისევ ამოაშენა ცალკე აგურით. რაღაც გადარჩენ, მისამ სასწრაფოდ შეატყობინა თბილისის კომიტეტს, რომ მათი სარდაფი ექვემდებარებოდა იყო. მალე იარაღი სხვაგან გადაიტანეს.

ასე ცხოვრობდა ევლოკია. შემდეგ ყველაფერი დალაგდა, დამშვიდდა ცხოვრება, საქართველოში წითელი ღრთა ფრიალებდა. ფეხს იღამდა ახალი საქართველო... შემდეგ მისა გარდაიცვალა. დარჩა ევლოკია მარტო.

ახლაც მარტოა იგი, მისი ღვაწლი დააფასეს, პერსონალური პენსია დაუნიშნეს და ცხოვრობს მოხუცი ევლოკია, არა უშავს, მადლობელია ცხოვრობს ევლოკია, მშვიდია, უხმაუროდ...

მაგრამ ასე როდი ცხოვრობს მისი მეზობელი შოთა ქიტუაშვილი, მას შვილები ჰყავს და სიცოცხლე შემოაქვთ ბავშვებს ოჯახში. აქ ხმაურობა, სიცოცხლისკისი, ცეკვა-თამაში. ზაქროს და თემურის ეს ერთი ოთახი თავზე აქვთ ჩამოცმული; დარბაზი, ქილაობენ, დამალობას თამაშობენ, თემურს რა გააჩერებს, ვერცხლისწალივით მოუხვეწიან ბავშვია, ყოველთვის რაიმე სათამაშოს გამოსძებნის, მისი მოწყვება არ შეიძლება, სულ მხიარულობს.

ზაქრო და თემურის მამა—შოთა გარაჟში მუშაობს, დედა—ნადია ქალაქის მეორე საავადმყოფოში ექიმის თანამშემწეა. მათ არა აქვთ მნიშვნელოვანი წარსული, ერთი ჩვეულებრივი ოჯახია, ეძლევათ ჯამაგირი და ცხოვრობენ, ზრდიან ბავშვებს, მათ მომავალზე ოცნებები ატარებენ დროს.

ქიტუაშვილების მეზობლად შოთა ქავთარაძე ცხოვრობს, სანდომიანი სახის ვაჟაკი, მშენებელი ინჟინერი. იგი საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სასურსათო საქონლის მრეწველობის სამმართველოში კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი ინჟინერია.

საინტერესო და შინაარსიანი ბიოგრაფია აქვს შოთა ქავთარაძეს. იგი ტბიურთა საბჭოთა ადამიანია, რომელიც ჩვენმა ცხოვრებამ წარმოშვა და დაავაჟკაცა.

შოთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რაიონში წაიღია სამუშაოდ. მუშაობდა აფხაზეთში გზატკეცილების სამმართველოს 744-ე უბანზე. ჯერ ინჟინერად, შემდეგ მთავარ ინჟინერად და ბოლოს უბნის უფროსად.

ბევრი დაბრკოლება გადაუღალავს ახალგაზრდა ინჟინერს, ბევრჯერ დაუფიქრებია და გაუოცებია ბუნებას თავისი მოულოდნელობებით, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა შოთა.

ერთხელ ასეთი შემთხვევა ჰქონდა; მაშინ იგი საქართველოს სამხედრო გზის 727-ე უბნის მთავარი ინჟინერი იყო, უეცრად ადიდა და გადაიარა თერგი, თავისი კალაპოტი დატოვა, გზა გადაჭრა, გადაანგრა, გადარღვია ყველაფერი. თბილისსა და ორჯინიკიძის შორის მოძრაობა შეწყდა... თბილისიდან ჩამოვიდა კომისია, დათვალიერეს, იმსჯელეს და გადაწყვიტეს, დარბაზის ხეობის ერთ-ერთ უბანზე გაეყვანათ გვირა-

ბი, რაც მოითხოვდა დიდ დროს და ხარჯებს.

ვაუკრთა ძილი შოთას. როგორ მოქცეულიყო? — არ მოსწონდა კომისიის გადაწყვეტილება. შეიძლება თუ არა ამ საკითხის უფრო მარტივად გადაწყვეტა? ამ კითხვამ ჩააფიქრა, მოსვენება დაუეკარა, მთელი ერთი კვირა ფიქრი ლანდით დასდევდა და დადიოდა კაცი გაოგნებული. ბოლოს ერთმა უეცარმა აზრმა ამოცანა მარტივად გადაჭრა, გვირაბის ნაცვლად გამოყენებულ იქნა ქვა-ფიხებისა და გაბიონების ხერხი: ადიდებულ თერგში ჩაყარეს მათეულეებისაგან გაკეთებული „ტომრები“, რომლებშიც ეყარა ქვა და ღორი. დღე და ღამეს ასწორებდნენ, ყრიდნენ „ტომრებს“ მდინარეში და ნელ-ნელა ავიწროებდნენ მას. შეიწროვდა თერგი, შეწუნდა და იძულებულ იქნა თავის ძველ კალაპოტს დაბრუნებოდა.

ახალი გზისა და გვირაბის გაყვანა საჭირო არ შეიქნა. შეაკეთეს ძველი გზა და მოძრაობა განახლდა.

მაშინ შოთა კარგი მუშაობისათვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოეს.

შოთას პირადი ცხოვრებაც წარმატები აქვს და სამაგალითო; ერთი ვარსკვლავით გოგო ჰყავს და ფრიადოსანი ბიჭი. სიბბო და სიყვარული ამ ოჯახში, ხამალაი ლაპარაკიც კი არასდროს გამოვა მათი ოთახიდან. „კარგი კაცია შოთა ქავთარაძე, ბაბუციც კარგია“, ამბობენ მათზე მეზობლები. ყველაზე უფრო ეს ამბავი ერთს ახარებს, მართალია იგი თბილისიდან შორს არის, მაგრამ ჩიტს ჩააქვს ამბავი ფსანაურში და ყველაფერი იცის ფარნაოზმა, მისი ბიჭები რას აკეთებენ, როგორ იქცევიან, ნურავის ნუ ეგონება, რომ ფარნაოზი დაბერდა... რომელიმე მათგანის უწყსობა რომ გაიგოს, ფენით ჩამოვა თბილისში და ვაი, მათი ბრალი! ჯერ კიდევ ვაჟაკურადაა ფარნაოზ ქავთარაძე...

ექვსი შვილი გამოზარდა ფარნაოზს, სულ ბიჭები, უფროსი შოთა, შემდეგ მოდის ვახტანგი, დათიკო, ვალიკო, ირაკლი და სულ უმცროსი გივი. ვახტანგის გარდა სულ ინჟინერები არიან ბიჭები, ფარნაოზს ეს ეყოფა სასახელოდ. ფსანაურში კარგი მოზრდილი ოდა აქვს, ერთი პატარა ბაღი, დაბაჩუნობს მოხუცი ბაღჩაში, გული არ უთმენს, საქმეს მაინც აკეთებს, ოჯახს უძღვება და შვილებით ხარობს, ბიჭების კარგად ყოფნა, მათი კარგი ამბავი სიცოცხლეს მატებს და არის ასე...

იქვე ახლოს ქავთარაძეებთან, ჯავაშვილები ცხოვრობენ. ოჯახის მამა ალექსანდრე ინჟინერია, იგი ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის სატრანსპორტო კანტონის უფროსია. ოცდაათი წელია, რაც იგი ჩვენი დიდი მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე მუშაობს. ახალგაზრდული ენერჯია და გატაცება ჯერ კიდევ აქვს ალექსანდრეს, მუშრო და მკლავი ჯერ კიდევ მოჭრისო, იტყვის ხოლმე ალექსანდრე და გაიბადრება.

ალექსანდრეს მეუღლე ვარა ილიარიონის ასული პედაგოგია. მას მეტად საბასუხისმგებლო და მხელი სამუშაო აქვს. იგი პირველ დამხმარე სკოლა-ინტერნატში მუშაობს აღმზრდელად. აქ არიან გონებანაღვნი და უპატრონო ბავშვები. ძნელია ამ სკოლაში მუშაობა, ის შეიძლება მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მოხდეს, საოცრად უნდა გიყვარდეს ადამიანი, უნდა იყო სულიდი, რომ ამ საქმეს გაუძღვე.

ვარა თავდაუზოგავად მუშაობს, ებრალებს უპატრონო, ავადმყოფი ბავშვები და ძალღონეს არ იშურებს, იქნებ რომელიმე მათგანს ვანუცი-თარდეს გონება და კაცი გახდეს, ქვეყნისთვის გამოსადეგი ადამიანი გამოვიდეს.

საკუთარი შვილიც ჰყავს დედა ვარას, ერთადერთი შვილი — გულნარა. იგი მეთერთმეტე კლასშია, ფრიადოსანი. „იგი იცის, როგორ წავა საქმე, როგორ ისწავლოს, ჯერჯერობით კი კარგია“... ამბობს ხოლმე დედა ვარა მოკრძალებულად და ამ სიტყვებს უკან იმალება ის დედობრივი თვითდაჯერება, რომ მისი ქალიშვილი ნამდვილად კარგია, ყველაზე უკეთესი, რაც ყველა დედას სჯერა ხოლმე...

ამ სახლში კიდევ ერთი ინჟინრის ოჯახია, ეს არის სიმონ ჯიქურიძე. იგი ჩვეულებრივი კაცია, კარგად ჩაცმული, დიდის ღინჯად, აუჩქარებლად. ხმამაღლა ლაპარაკი უყვარს, მხიარულია. რაც მთავარია, კარგი მშენებელი ინჟინერია. იგი ძველი რევოლუციონერის ნოშრეგან ჯიქურიძის შვილია.

„მე ძველი დავანგრიე, ჩემი შვილი ახალს აშენებს“, იტყვია ხოლმე ნოშრეგანი და თანასოფლელებში შვილით ტრაბახობდა.

სიმონს ორი შვილი ჰყავს — დემური და ციური. დემური სტალინბადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობს. ციური თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტია. ოჯახის გამამხიარულებელია ციური, ეპ, დედა მიატოვა დემური, და ახლა ციურია მისი სულის-



— ჩვენ აშენებულ სახლს დიდი ეზო უნდა ჰქონდეს, რომ ფეხბურთის თამაში აღარ დაგვიშალონ.

ჩამდგმელი, ციური რომ შემოვა, კედლები იცონიან, თორემ რა ეშველებოდა დედას მარტო. ჰკვიანს გოგონა ჰყავს, როგორც უკვე იცით. მხოლოდ მოწინავე იყო, უნივერსიტეტშიც კარგად სწავლობს, ახლა კომპიუტერის ბიუროს მდივანად აირჩიეს. უკრავს, მღერის, ბევრს კითხულობს.

\*\*\*

25 თებერვლის ქუჩაზე ამას წინათ შედამებისა შევიარე ამ სახლში, ჩემი გმირები მოვიხსნულე, ყველანი ისე იყვნენ, როგორც უკვე იცით. მხოლოდ ზაქროს და თემურს აიგანზე ვეებერთელა ქალაქი გამოეტანათ, იატაკზე დედით, ზაქროს ქალაქზე რაღაცის გამოსახულება გამოყავდა, თემური ნახევრად ქალაქზე იჯდა, ნახევრად იატაკზე და თავჩარგული გარინულიყო.

— რას აკეთებთ, ბიჭებო? — შევეკითხე.

— „...ინჟინრობას“ ვთამაშობთ, — მომიგო თემურმა, ზაქროს თავი არ აუწვევია ასეთი სახის თამაში, მართალი გითხრათ, არ გამეგო, დავინტერესდი, მივუახლოვდი და დავაკვირდი. ფართო საინჟინრო ქალაქზე შავი სახატავი ფანქრით მსხვილ ხაზებს ავლებდა ზაქრო.

— რა არის, ბიჭო, ეს, ვინ მოგცათ ეს ქალაქი? — გავუთხარი კითხვა ბავშვებს.

— ეს, ზევით რომ ირაკლია, ინჟინერი, იმან მოგვცა, ფანქარი ჩვენ გვქონდა და სახლს ვხატავთ. ბიძია ირაკლი სულ სახლებს ხატავს. ჩვენც დავხატავთ ისეთ სახლებს.

მომყარა თემურმა სხაასხუბით. „მათ უნდა დახატონ ჩვენი სახლები, მათ უნდა გააგრძელონ მამების საქმე, უნდა ააშენონ და დაამშვეინონ ჩვენი ქვეყანა“, — გავიფიქრე მე და ლიმილით გავშორდი იქაურობას.

ბავშვები განაგრძობდნენ სახლის ხატვას.





ქართული

ილია ჭავჭავაძე (მარჯვნივ) პირველი და ნიკო ცხველევი (მცხრე) ქართული გიმნაზიის მშენებლობაზე (თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის კაბინეტის მასალებიდან).



ფოტო რ. აკოფოვისა და გ. თიკანაძის

## კომე ჯაპრიშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეთრი შენობა თითქოს შესისხლბორცვებია მიდამოს.

ჩვენი საუკუნის ოცინაი წლებიდან მოკიდებული რამდენიმე თაობის აღამიანებს ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ იყო დრო, როდესაც ვარაზისხევის გადამა არ იდგა ეს თეთრი და სინათლიანი ნაგებობა, რომლის კედლებში გაიარა მრავალი მთავანის ცხოვრების საუკეთესო წლები—ცოდნის დაგროვებისა და მომავალი ცხოვრებისა და შრომისათვის მომზადების, იქნებ ძნელმა, მაგრამ ბედნიერმა წლებმა, რომელთაც მთელი ჩვენი შემდგომი ცხოვრება წარმართის.

დროის მსვლელობაში ეს შენობა ამ მიდამოს ყველაზე მუდმივი და სახეუცვლელი წევრი შეიქმნა: მიდამო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა; ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების დასაწყისში ამ რამდენიმე პაღრის გარდა, რომელნიც ახლა ასე ჭარბად და მკერდავლილად აღმართულან ჭავჭავაძის გამზირის გაყოლებით, აქ ხე და ბუჩქი არ ჩანდა—იქით, ჩრდილოეთისკენ გაშლილი იყო ვაკე—ტრიული მინდორი და მწირი მცენარეულობით შემოსილი ფერდობები და იქვე, ასოილე მეტრის დაშორებით, წყნეთელების ყანები იშლებოდა.

თბილისი ვარაზისხევთან მთავრდებოდა. ვარაზისხევის გადამა აღმართული იყო მხოლოდ ეს უშველებელი შენობა. შორს ჩანდნენ აგურის ქარხნის მილები და კიდევ საღვაც, მთლად შორს, აქა-იქ გაბნეული შენობები.

ეს მიდამო ჩვენ თვალწინ მონაშენიანდა და თბილისის ულამაზეს უბნად გადაიქცა. მაგრამ ვარაზისხევისა და მდ. ვერეს შესართავში წარმოშობილ კონცხზე აღმართული შენობა მაინც ყველაზე ლამაზი, ყველაზე ამაყი, ყველა შენობებზე უფრო ახლობელია ყველა ჩვენგანისათვის, არა მარტო იმ ორი ათეული ათასი აღამიანისათვის, რომელნიც აქ გაიზარდნენ და უმალესი ცოდნა შეიძინეს, არამედ ყველა თბილისელისათვის, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქალაქისათვის.

ძველად ნაგები მრავალი შესანიშნავი შენობა იჩრდილებდა და იჩაგრება ხოლმე მის ირგვლივ აღმოცენებულ ახალ ნაგებობების გარემოცვაში. მაგრამ ყოველი ახალი ცვლილება მიდამოსი კიდევ უფრო მეტ შნოსა და სილამაზეს სძენდა ამ სადა შენობას.

როდესაც მტკვრის პირა სერი გააკეთეს ჩელუ-სკინელთა ქუჩით და ახალი ხილით გამოდგა და გადამა მხარეები დააკავშირეს—მას შემდეგ ყველა თბილისში ახლად ჩამოსულს შეუძლია შორიდანვე დაინახოს, თითქოს ცაში აჭრის და მწვანით შემოწყობილი კედლები ჩვენი უნივერსიტეტისა, ამაყად რომ გასცქერის მიდამოს.

ჭავჭავაძის პროსპექტის გაფართოებით — ქალაქის ცენტრიდან მომავალთათვისაც გაიხსნა შორეული ხელი და მის ბოლოს უნივერსიტეტის შენობაც გამოჩინა, ხოლო ახლანახან, ვარაზისხევის ახალმა ქუჩამ კიდევ ახალი შნო და სილამაზე შესძინა მას.

შაქარია ჭიჭინაძე იკონებდა, რომ როდესაც 1898 წელს თავად სოლომონ ბებუთაშვილისაგან შეძენილ იქნა ვარაზისხევის გადამა ექვსი დესეტინა მიწა ქართული გიმნაზიის ასაგებად, ნიკო ცხველევი, რომელიც სათავეში უდგა ამ მშენებლობას „პეცხვადნენ მრავალი ყვედრებით: ვერის მელიებისა და ტურებისათვის უყიდნია სკოლის ადგილი და ქართველი უმწველები ვერელები მენახსირე და მუშეუებისკენ უნდა გარეკოს“.

...და, ალბათ, როგორ გაუქვირდებოდათ იმ სექტიკურად განწყობლ „მრავალთ“, რომ დაენახათ ქალაქის შუაგულში, ჩრდილოვანი ბაღის ხეებით შემოფარგლული მეცნიერების თეთრი ტაძარი, რომლის კედლებში უკვე ორმოცი წელია, რაც ერთი წუთით არ ჩამქრალა დიდი ქართველის ილიას შორსმჭვრეტელი გონებით ნაანდერძევი და შესანიშნავ ქართველ მეცნიერთა — პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ დანთებული მგვნებარე ალი მეცნიერების კერისა.

აქ ჯერ კიდევ მხოლოდ ერთადერთი ქართული გიმნაზიის შენობას აგებდნენ, მაგრამ მისმა მშენებლებმა: — პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ცხველევიმ, შესანიშნავმა ქართველმა არქიტექტორმა სიმონ კლდიაშვილმა და სხვა მრავალმა ქართველმა აღამიანმაც კარგად იცოდნენ, რომ ეს შენობა მომავალი ქართული უნივერსიტეტისათვის იყო განკუთვნილი.

ქართული გიმნაზიის დაარსების გამო ილია წერდა: „ეს საშუალო სასწავლებელი ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი შეიქმნება ჩვენი ხალხისთვის სახსარი უფრო მომეტებული სწავლისა და განათლების შესაძენად. ეს სასწავლებელი გამოზრდის ჩვენ საკუთარს, ქართველ ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დღეა ბოძი ყოველი ხალხის განვითარებისა და წარმატებისა“.

ილიას ეს წინასწარმეტყველება სავსებით გამართლდა. ჩვენი ახალი ეროვნული, მშრომელი ინტელიგენცია თბილისის უნივერსიტეტის კედლებიდან გამოვიდა.

აქ, ამ კედლებში. ჩაისახა საქართველოს თითქმის ყველა სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, აქედან აღმოცენდა ჩვენი სამეცნიერო აკადემია.

აქ, 1918 წლის იანვრის 26-ს (ძველი სტილით).

გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. ეს დღე შემთხვევით არ იყო შერჩეული. იანვრის 26, ქართული კალენდრით დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა, ხოლო დავით აღმაშენებელი გელათის აკადემიის დამარსებელი და საქართველოში უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანია, და ახალი ქართული უნივერსიტეტის ფუძის ჩამყრლები ამით თითქოს ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ თუმცა მრავალი წლების განმავლობაში უმაღლესი განათლება საქართველოში მოშლილი იყო, და მეფის რუსეთის სხვადასხვა რანგის მოხელეები მის ალდგენას „ნაადრევად“ სთვლდნენ იმპერიის იმ ქვეყანაში, სადაც პირველი უმაღლესი სასწავლებლები იყო შექმნილი IX-X საუკუნის წინათ (გელათისა, გრემისა, იყალთოსი), მაინც ეს ახალი უმაღლესი სასწავლებელი უეცრად და არაფრიდან კი არ წარმოიშვა, არამედ გაგრძელება იყო იმ დიდი ტრადიციებისა, რომელთაც ქართველი მეცნიერები ასე სათუთად ინახავდნენ და იცავდნენ შორეულ პალესტინასა და სირიაში, პეტრიწონსა და მოსკოვში.

იმ დროისათვის, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა და განმტკიცდა აზრი დიდი ხლის ოცნების სინამდვილედ ქცევისა, უნივერსიტეტის დამარსებლებს სრულიად ვარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ იმისა, თუ ვინ უნდა დაპყრდნობოდნენ ამ საქმეში. ივანე ჯავახიშვილს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე ყველა ქართველი მეცნიერი ყავდა აღწვსული. მის ქალაქებში — აღნიშნული იყო ყველა ამ მეცნიერის სპეციალობა და ზუსტი შისამართი. აქ მრავალი სახელი იყო ჩამოთვლილი: სახელმწიფოებრივი ქიმიკოსი, ოდესელი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი და მოსკოვის უნივერსიტეტის 27 წლის ბრწყინვალე მათემატიკოსი პრივატ-დოცენტი ანდრია რაზმაძე, პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და სამხედრო-საინჟინრო აკადემიის გეოდეზიისა და ვარსკვლავთმრიცხველობის პროფესორი ანდრია ბენაშვილი და ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მინერალოგიის კაბინეტის მცველი ახალგაზრდა ასისტენტი ალექსანდრე თვალჭრელიძე, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ისტორიკოსი სიმონ ავალიანი და ხარკოვის უნივერსიტეტის მაგისტრანტი ენათმეცნიერი გიორგი ახვლედიანი, პეტერბურგის უნივერსიტეტის მაგისტრანტი — ფილოლოგოსი შალვა ნუცუბიძე, ფილოლოგი აკაკი შანიძე, უკვე სახელმწიფოებრივი ისტორიკოსი და არქეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილი და ხელოვნების ისტორიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, პოტანკოსი შაქარია უანჩაველი და ფიციკოსი ვასო ყიფშიძე, ანატომი ალექსანდრე ნათიშვილი და ფსიქოლოგი დიმიტრი უხნაძე... და კიდევ ათეული გვარი და მისამართი — კიდევ მეტიც. ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულმა პეტერბურგის „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ“ უფრო ვრცელი გამოკვლევაც ჩაატარა. 1911-12 წლებში მან დაუგზავნა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს საგანგებო ანექტა რათა გამოერკვია მათი სპეციალობა და ქონებრივ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობა.



მოსკოვიდან, კიევიდან, დერპტიდან, ვარშავიდან, ოდესიდან, ხარკოვიდან, ტომსკიდან, იაროსლავიდან, ბერლინიდან, ლაიპციგიდან, პარიზიდან, მონპელიევიდან, ბრიუსელიდან, ლიევიდან და სხვა ქალაქებიდან მოსული პასუხებიდან გამოირკვა, რომ არ იყო მეცნიერებისა და ტექნიკის არც ერთი ისეთი დარგი, რომელიც ქართველ სტუდენტთა გარეშე დარჩენილიყო.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველსავე დღეებში ივ. ჯავახიშვილმა პეტროგრადში გამართა ქართველ მეცნიერთა თათბირი, რომელმაც პრაქტიკულად განიხილა უნივერსიტეტის შექმნის საკითხი.

დიდი საორგანიზაციო მუშაობა და მრავალ სიძნელეთა გადალახვა დასჭირდა ენთუზიასტთა მცირე ჯგუფს, იმისათვის, რომ 1918 წლის 26 იანვარს, საზეიმო ვითარებაში გაეხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტი გახსნა მისმა პირველმა რექტორმა პეტრე მელიქიშვილმა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანი მუშაობა, ერთადერთი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელთა მსმენელების დასატევად ის სამი აუდიტორიაც მკაროდა, რომლის განათავსუფლება მოხერხდა სხვადასხვა დაწესებულებებით გადატვირთულ შენობაში.

უნივერსიტეტის ლექციების პირველი განაწილება ადვილად თავსდებოდა ქალაქის ერთ ფურცელზე:


**ლექციების პირველი განაწილება**

	5.00 — 5.40	5.50 — 6.30	6.40 — 7.20	7.30 — 8.10	8.20 — 9.00
ორშაბათს	ე. ორბელიანი — ფრანგ. ენა (1) ი. ყიფშიძე — გერმ. ენა (2) გ. ლამბაშიძე — ინგლისური ენა (3)	ი. აბულაძე — სპარსული ენა (3)	ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს ისტორია (1)		კ. კეკელიძე — საეკლესიო ისტორია (1)
სამშაბათს	ა. შანიძე — სომხური ენა (3)	ს. ავალიანი — მიწ. მფლობელობა საქართველოში (1) ა. შანიძე — არაბული ენა (3)	შ. ნუცუბიძე — ფილოსოფიის შესავალი (1)		ივ. ჯავახიშვილი — საისტორიო სემინარია (1)
ოთხშაბათს	ე. ორბელიანი — ფრანგ. ენა (1) ი. ყიფშიძე — გერმ. ენა (2) გ. ლამბაშიძე — ინგლისური ენა (3)	ს. ავალიანი — რუსეთის ისტორია (2) ი. აბულაძე — სპარს. ენა (3)	ი. ყიფშიძე — ძველი ქართული (1)		ივ. ჯავახიშვილი — სამართლის ისტორია (1)
ხუთშაბათს	ა. შანიძე — სომხური ენა (3)	ი. ყიფშიძე — ქართული ლიტერატურა (1)	შ. ნუცუბიძე — ფილოსოფიის პროსემინარი (2)	ა. შანიძე — არაბული ენა (3)	ე. თაყაიშვილი — არქეოლოგია (1)
პარასკევს	ე. ორბელიანი — ფრანგ. ენა (1) ი. ყიფშიძე — გერმ. ენა (2) გ. ლამბაშიძე — ინგლისური ენა (3)	ფ. გოგინიაშვილი — პოლიტიკური ეკონომია (1) გ. ახვლედიანი — სასწავლო	კ. კეკელიძე — საეკლესიო ისტორია (1) ს. ავალიანი — მსოფლიო ისტორია (2)		გახტანგ ლამბაშიძე — პოეზია (1)
შაბათს	ა. შანიძე — არაბული ენა (3)	დ. უზნაძე — ფსიქოლოგია		გ. ახვლედიანი — ენათმეცნიერების შესავალი (1)	

ვერსიტეტის ცხოვრებაში და ქართული მეცნიერების განვითარებისათვის დიდი შრომა გასწევს (შ. ამირანაშვილი, კ. ბაქრაძე, ვ. თოფურია, თ. ლომოური, ს. ჯანაშია, გ. ჯაკობია).

1928 წელს, თავისი არსებობის ხუთი წლისთავისათვის უნივერსიტეტის ხუთ ფაკულტეტზე 3710 კაცი სწავლობდა. უნივერსიტეტში ორასზე მეტი პროფესორი, დოცენტი, ასისტენტი და პრეპარატორი იყო. თვით უნივერსიტეტი ახლა უკვე რთული და ფართოდ განსტობილი ორგანიზაცია გახდა. მას შეეძინა მრავალი დამხმარე დაწესებულება; კლინიკა, საცდელი მამულები, ლაბორატორიები, კაბინეტები, მუზეუმები, საკუთარი გამომცემლობა, ბიბლიოთეკა, და სხვ.

ხუთივე ფაკულტეტის მრავალრიცხოვან დარგებზე გაიშალა დიდი სამეცნიერო მუშაობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ დარგთა გეგმიან და თანმიმდევრულ განვითარებას. როდესაც უნივერსიტეტი ასეთრიგად გაიზარდა და მრავალი ათეული სპეციალობის მეც-



ოსკარ შმერლინგის კარიკატურა (გაზეთი „კავკასკი კრა“ № 4, 1905 წ.). თავადი, მღვდელი და მოხელე ქვს უშენენ ნიკო ცხველძეს, რომელიც ამაყად დგას ქართული გიმნაზიის მშენებლობაზე და უპასუხებს: „მესროლეთ, მე მაინც ავაშენებ ქართულ გიმნაზიას“.

ნიერ მუშაებს, ექიმებს, ინჟინრებს, პედაგოგებს ამზადებდა — ამ დარგთა სრულიად განსხვავებული სპეციფიკის გამო დადგა საკითხი სპეციალური ფაკულტეტების დამოუკიდებელ სასწავლებლებად გამოყოფის შესახებ.

1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოიყო პირველი უმაღლესი სასწავლებელი — საქართველოს ინდუსტრიული (ამჟამად პოლიტექნიკური) ინსტიტუტი, რომლიდანაც შერევილი გამოიყო რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტი.

შემდეგ წელს გამოცალკევდა აგრონომიული ფაკულტეტი და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტად გარდაიქმნა, შემდეგ — პედაგოგიური და სამედიცინო. რომელთა ბაზაზე რამდენიმე დამოუკიდებელი ინსტიტუტი შეიქმნა.

თვით უნივერსიტეტშიაც მრავალი ახალი ფაკულტეტი და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი ჩამოყალიბდა.

ეს სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი — მათემატიკისა, გეოლოგიისა, ფიზიოლოგიისა, ფიზიკისა, გეოგრაფიისა, ენისა და ლიტერატურისა, საფუძვლად დაედგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნას.

1941 წლის 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავზე თბილისის უნივერსიტეტმა — მთელ ქართველ ხალხთან ერთად დიდად მნიშვნელოვანი თარიღი ილღესასწაულა. ამ დღეს ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც უნივერსიტეტმა მოუშვადა მკვიდრი სამეცნიერო ნიადაგი. აკადემიის პირველი შემადგენლობის 16 წევრიდან — 18 უნივერსიტეტის პროფესორი იყო, ხოლო სამმა თვით ეს უნივერსიტეტი დაამთავრა.

თბილისის უნივერსიტეტის მნიშვნელობა ქართველი ერის კულტურის განვითარებისათვის განუწონად დიდია. იგი მოიცავს არა მარტო მეცნიერების მრავალ დარგს, არამედ ხელოვნების, ფიზიკური კულტურისა და სხვა მრავალ დარგებშიაც იჭრება.

40 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი 22.000 სპეციალისტმა დაამთავრა.

საქართველოს ყოველ 1000 მცხოვრებზე 18 უმაღლესი განათლების მქონეა — ყველა მათ ან თბილისის უნივერსიტეტი ან მისგან აღმოცენებუ-

მეორე ხემეტრიდან დაიწყო მუშაობა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტში, ბოლო, შემდეგ წელს, საქართველო და სამკურნალო ფაკულტეტის ცალკე გამოყოფა.

უნივერსიტეტი თანდათან ძალას იკრფოდა, ფართოვდებოდა, ახალი ფაკულტეტები და განყოფილებები ემატებოდა.

1921-22 წელს ჩამოყალიბდა აგრონომიული ფაკულტეტი, რომელსაც პეტრე მელიქიშვილი ჩაუდგა სათავეში, მერე გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი — მექანიკური, საამშენებლო და საბოჭკო-ქიმიური განყოფილებებით, გამოიყო ცალკე სოციალ-ეკონომიური და პედაგოგიური ფაკულტეტები, შეიქმნა მუშათა ფაკულტეტი.

1922 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტმა პირველი მოსავალი მოიმაკო: შესდგა უნივერსიტეტის პირველი გამოშვება — 25 ცდენა და 8 ქალმა ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები. მათგან ისტორიული დარგი დაამთავრა 16, ფილოსოფიური — 8, სიტყვიერებისა — 8, ენათმეცნიერებისა — 2, ხელოვნებისა — 1, ეკონომიური — 1. რამდენიმე მათგანი დატოვეს უნივერსიტეტში პროფესორობისათვის მოსამზადებლად. პირველად კურსდამთავრებულთა შორის იყვნენ მეცნიერები, რომელთაც შემდეგში დიდი როლი ითამაშეს უნი-

სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ისტორიკოსთა ჯგუფის პირველი გამოშვება. შუაში — ივანე ჯავახიშვილი, მარჯვენა — სიმონ ჯანაშია, თამარ ლომოური, მარჯვნიდან მარცხნივ მეორე — შალვა ამირანაშვილი.







# ინგილოური მოტივები

## საინგილოს გზაზე

მგონი ჩვენსავით კახში მიდიან ახოვანი და ხნოვანი ხენი. მეც ყოველ მათგანს, როგორც მინდია, ვესაუბრები კაცური გინით:

— ძმებო ხეებო, თქვენი ვალია არ ღაიჯარგოს ამაგი მისი, ვინც თქვენზე ზრუნვას დღე შეაღია და თქვენი ჩრდილის ვერ გახდა ღირსი.

ის კაცი იყო, ღმერთი კი არა, მაგრამ ახსოვდა შთამომავალი, გზის ორივე მხარეს ავაშრიალათ მზის მოყვარულნი და რტომრავალნი.

და განა რამე თავისთვის სურდა? თავს გველებოდათ როგორც მშობელი, რომ ყველა გამგელს ჰქონოდა მუდამ სილამაზე და საჩრდილობელი!

რამდენ სიკეთეს ამბობენ თქვენსას, რამდენ მრისხანე ქარს გაუქლოთ! იხაროს თქვენმა უკვდავმა ფესვმა, იდილოს თქვენი ძალა უძლევი.

არ უკრთით ღრუბლებს, ნიღბებს, წვიმებს, თუმცა დაგიმსხვრიეს ბევრჯერ ტოტები, თქვენ არასოდეს არ ჰკარგავთ იმედს და ავდარშიაც მზეს ელოდებით!

...საინგილოსკენ ერთად მიდიან ასი წლის წინათ დარგული ხენი, და ყოველ მათგანს, როგორც მინდია, ვესაუბრები მეგობრის გინით.

## საინგილო

რომ დაიარო ქვეყანა მთელი — უფრო ღამაში მიწა ვერ ნახო! როგორი მთები, როგორი ველი, რა ვენახი და რა სავენახო!

მეგონა იყო ერთი მტკაველი და მერე როგორ ვცდებოდი თურმე. როცა ვიხილე მისი მთა-ველი, თვალწინ დამიდგა წარსული მრუმე.

წარსული... არა, მიჯობს დღემილი, თორემ ვგრძნობ ტკივილს განუკურნებელს, მე ვდგავარ კლდეზე მიჯაჭვულივით და გადავცქერი საუკუნეებს.

ვდგავარ... თანდათან იშლება ნისლი, ჰქრება წარსული და მიპყრობს ლხენა, რომ ერთად მღერის, ვით ძმობის ფიცა, ნიზამის ენა, რუსთველის ენა!

## ინგილო ბავშვები

იქნებ მათ შორის მერხზე ჩუმად ზის ოპიზარი ან ვერ ისვენებს რუსთაველი, მზის მოფიცარი.

იქნებ ამ ბიჭმა გააცოცხლოს რაღაც განგებით ინგილოების დაკარგული ძველი ჰანგები.

ან იქნებ, ცელქი, რომ გაჰყურებს ფანჯრიდან ღობეს, უკვდავი ფუნჯით გადაიღებს მშობლიურ სოფელს.

იქნებ... ვინ იცის, განა თვალი წინასწარ ხედავს... მაგრამ ერთი სწამს და ახარებს ინგილო დედას,

რომ შეილებს მისას დიდი დედა — თბილისი ელის და არასოდეს მოაკლდება იმისი ხელი,

რომ დღედაღამე ფხიზლად უსმენს მამულის ძახილს ქურმუხის ხეში გარინდული სოფელი კახიც.

## ოკი რომილი

აზერბაიჯანელ პოეტს იბრაჰიმ იბრაჰიმოვს

ქვაზე ტვირთივით დავტოვე დაღლა.

ორივე ჰავდა აპრილის ლოცვას — თათრის ქალი და ქალი ინგილო! ეს იყო წუთი, ისეთი, როცა არ შეიძლება არ დაიგმინო.

ჩანდა, მოსწონდათ ერთიმეორე, მე კი ორივე... დალახვროს ღმერთმა... მთებს გაუყინეს როგორც მეგობრებს და მდინარისკენ გაფრინდნენ ერთად.

ალაზნის ტალღა... ალაზნის ტალღა...


ლი სხვა რომელიმე უმაღლესი სასწავლებელი აქვთ დამთავრებული.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ დაწერილ და გამოცემულ სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო შრომებისგან შეიძლება კარგა მოზრდილი ბიბლიოთეკის შედგენა.

ამ ბიბლიოთეკაში 560 სახელმძღვანელო და 9570 სამეცნიერო შრომა იქნება, რომელთაგან 786 მონოგრაფიაა. „უნივერსიტეტის მოამბესა“ და „შრომებში“ 1600-ზე მეტი შრომაა დაბეჭდილი.

ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა გამოსცა სქელტანიანი კრებული, რომელშიაც თავმოყრილია უნივერსიტეტის მიღწევები ისტორიულ მეცნიერებათა, ქართული ლიტერატურის ისტორიის, ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, იურიდიულ, ეკონომიურ, ბიოლოგიურ, გეოლოგიურ, გეოგრაფიულ, ქიმიურ, ფიზიკურ და მათემატიკურ მეცნიერებათა დარგში. ეს 800 გვერდიანი წიგნი თითქმის მხოლოდ ჩამოთვლა იმისა, თუ რა გაცივდა ყველა ამ დარგში. მკითხველის წინაშე ნათლად დგება ის გზა, რომელიც გაიარა უნივერსიტეტმა 40 წლის განმავლობაში — რომელიც მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად იზრდებოდა და ძლიერდებოდა. გზა — ენთუზიასტ მეცნიერთა განცალკევებულ შრომიდან — მძლავრ მეცნიერულ კოლექტივებამდე — ჩვენმა მეცნიერებამ საოცრად სწრაფად გაიარა. ამ წლებში შექმნილმა სამეცნიერო სკოლებმა — მათემატიკურმა, ფიზიოლოგიურმა, ენათმეცნიერულმა, გეოლოგიურმა და საქართველოს ისტორიისა — საყოველთაო აღიარება, მეცნიერული ავტორიტეტი და სახელი მოიხვეჭეს, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის გარეთაც.

არ არსებობს მეცნიერების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დარგი. რომელშიაც არ გვყავდეს ჩვენი საკუთარი, ეროვნული კადრები.



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნამდვილი აღორძინება მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის შედეგად ჩვენი უნივერსიტეტი გადაიქცა კულტურის მძლავრ ცენტრად.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა მთელი ჩვენი თანამედროვე მეცნიერება და განათლება. ამიტომ არის, რომ ვინც არ უნდა იყო შენ — შორეული სვანეთიდან ჩამოსული მასწავლებელი თუ სოფლის მეურნეობის ახლად შექმნილი აკადემიის — აკადემიკოსი, ლაჯანურების ჰიდრომშენებელი თუ ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი, ტყიბულელი სამთო ინჟინერი, ან შირაქელი მექანიზატორი, ხელოვნების ოსტატი, ან რუსთაველი მეფოლადე, ყვარლელი მევენახე გინდ ქუთაისელი ავტომშენებელი, ექიმი, ფიზიკოსი, ენათმეცნიერი, იურისტი, ქიმიკოსი, ეკონომისტი, საბჭოთა მუშაკი თუ კიდეც ათასი სხვა პროფესიის წარმომადგენელი, როდესაც თბილისში იქნები და გვერდზე გაუვლი ამ თეთრ შენობას ჰავეაჰაძის გამზირისა და ვარაზისხევის ქუჩის კუთხეში ამაყად რომ აღმართულა, — იცოდე, აქ ყალიბდებოდა ის მეცნიერება, რომელსაც შენ ემსახურები, აქ სწავლობდი შენ ან შენი მასწავლებელი. აი, უკვე 40 წელია, რაც იგი ჩვენი გონების „მასწავლებელი დედა“.

Alma mater — როგორც ეძახდნენ მას ძველად, ამიტომ ნუ დაგეარება, შედი ბაღში, შეჩერდი წამით იმ ადამიანთა ძეგლების წინაშე, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ უნივერსიტეტს — ბრძენი ილიას, ნივთიერების აგებულების მესაიდუმლის პეტრე მელიქიშვილის, დიდი ქართველი ისტორიკოსის, უნივერსიტეტის სულისჩამდგმელის ივანე ჯავახიშვილის ძეგლების წინაშე, და გაიხსენე ის მრავალი ადამიანიც, რომელთა შრომითა და ცოდნით, ნიჭითა და გამოცდილებით შეიქმნა ეს შესანიშნავი დაწესებულება — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლითაც შენთან ერთად მთელი ქართველი ხალხი ამაყობს, რადგან იგი მისი ღვიძლი შვილია, მისი წიაღიდან აღმოცენებული, და მთელ ქართველ ხალხთან ერთად იბრძვის და შრომობს ნათელი მომავლის დასამკვიდრებლად.

ჩვენი უნივერსიტეტი






ქართული  
ბიბლიოთეკა




ურა ჯაფარიძე — „გატრეფა“ (ზეთი).





ტენგიზ ლვინიაშვილი.  
მქსოველი.



გ. ამაშუკელი.  
მონოღება თავისუფლებისაკენ.



ნელი ალექსიძე.  
ირინე ალექსიძე.



ზ. მაისურაძე.—მანდარინის  
კრეფა (კერამიკა).



# სტალინგრადელთა გმირობა ბრძოლაში

ნ. ლუბინსკი

ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. საოლქო ქალაქ კურსკში რკინიგზის გადასავლის შორისადაც ექსკავატორი ქვაბულს თხრიდა თაბაშირის ქარხნის ახალ საამქროსთვის. აი დღეცა ექსკავატორის ჩამა, ახაა ქანი და ანაზად გაიხმა ლითონის საზარელი, გულის გამგმირავი ღრქალი.

— რა ამბავია? რა მოხდა? — გაფრთხილებით გაიფიქრა ექსკავატორის მემანქანემ ნიკოლოზ შერგუნოვმა და წელამდე გადმოიწინა კაბინიდან. უკვე ხანში შესული, თავის სიცოცხლეში ბევრის მახველი ნიკოლოზი რას არ შესწირებია, მაგრამ ამის მსგავსი ჯერ არაფერი ენახა. ჩამამ მოხა და ასწია მალა... ყუმბარა, თითქმის ერთ-მეტრიანი ყუმბარა, თუ მეტი არა!.. აგერ კიდევ მიწიდან ამოჩრია საშინელი ურჩხული — ნაღმი..

მემანქანე გადმოხტა ექსკავატორიდან და ქარხნისკენ მოკურცხლა, გზა-გზა ცივ ოფლს იწმენდა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა გარბოდა ქარხნის დირექტორთან — ვიმენეტთან. დირექტორის კაბინეტში თავშეყრილმა პირებმა გაიხსენეს, რომ იმ ადგილას, სადაც ეს ყუმბარა აღმოჩნდა, სამამულო ომის დროს ავიაციუმებისაგან ამოთხრილი იყო დიდი ძაბრი, მაგრამ მიტლერ-რედლების კურსკიდან გაქცევის წინა დღით, ძაბრი უეცრად გაქრა. მოაგონდათ შემდეგი: საბჭოთა ჯარებმა, რომლებმაც 1948 წლის თებერვალში კურსკი გაათავისუფლეს, აღმოაჩინეს ამ ადგილას მტრის უამრავი საბრძოლო საჭურველი და გაზიდეს. მაგრამ მთლიანად გაზიდეს კი მან?

რამდენიმე საათის შემდეგ სამხედრო სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ექსკავატორის ჩამამ წედპირი გადახადა მიტლერების მიერ ემპიურად შენიღბულ და მოხრებულად დანაღმულ საბრძოლო მასალის მიწისქვეშა საწყობს. თხოვეტი წლის მანძილზე მიწისქვეშ „დახანებისა“, ყუმბარების ლითონის წედფენა დაიშალა, დამცველი სუფები დაიფანგა და დინგრა. უნებოდებულად ფლანდ დაიღრა მწვანე, ყვითელი, შავიოხისფერი განიერი ზოლებით... ყუმბარამ შეიძლება იფეთქოს სულ მცირედი ბიძგისგან, უბრალოდ, შვის სხვიის მოხვედრისგანაც. ჩანს, ნიკოლოზ შერგუნოვი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დახადებული, რომ ყუმბარამ არ იფეთქა და სიცოცხლე არ მოუსწარა მას, როცა ჩამამ ამოგლიჯა მიმალული სიკვდილი.

შემდეგ? ჩვენ ერთდროულად წვიცილებით ჯერ „კომსომოლსკია პრავდაში“, შემდეგ ქართულ გაზეთებშიც მოსკოვშიც მწერლის არკადი ხახინის წარმტვი ნაშრომი — „ომის გამოძახილი“. ახლა მე მინდა მოვითხროთ ზოგიერთი რამ ახალი ამ გმირული ამბებიდან. მაგრამ ჯერ გავიზარებთ ერთ ამბავს. ის ადამიანი, რომელმაც თავის თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა, მე ვიციანი, — იგი სტალინგრადის გმირი აღმოჩნდა.

დაიხ, ეს ისაა — ჯუმბი, ჩახსული ცაცი, ჰალარით შევერცხლილი ზმირი თმით, სუფთა, ნათელი თვალით, გამოკვირებული ნიკაბი, ნებისყოფიანი, ენერგიული სახე. ასეთია იგი საბჭოთა არმიის ცენტრალურ მუზეუმში დაცულ პორტრეტში. პორტრეტის ქვეშ ჩვეულებრივი წარწერაა — საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ სტეფანეს-ძე დიასამიძე. აქვეა ლითონზე ამოკვეთილი დიპლომა, რომელიც მას გამოუწავნა სტალინგრადში 1942 წლის 18 დეკემბერს უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა: „ვაჟაუბ თქვენი შეუპოვარი ბრძოლით. არც ერთი ნაბიჯი უკან. მებრძოლები და მეთაურები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, წარმოადგინეთ მთავრობის ჯილდო“.

მე მოვძებნე იმ პერიოდის გაზეთები „პრავდა“ და „კრასნაია ზვეზდა“, როცა სტალინგრადი სწვევდა კაცობრიობის ბელს. მთელი მსოფლიო თავს იხრიადა სტალინგრადელების გმირობის წინაშე. და აი, როცა ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა სტალინგრადში, ორთავე გაზეთმა მოვალეობად ჩათვალეს მიედევნათ სპეციალური მოწინავე წერილები საქართველოს ერთი პატარა ხოლმის — გაღმა ვანის მკვიდრისათვის.

„მსროლელთა პოლკის გმირობა, რომელსაც დიასამიძე მეთაურობს, ჩრდილავს ყველგვარ წარმოდგენას ადამიანის გამძლეობაზე, სიმტკიცეზე და საბრძოლო საქმეში დახელოვნებაზე, — წერდა „კრასნაია ზვეზდა“. — ომების ისტორიაში თითქმის არც იცის ასეთი შავალითები. სუთი დღე და ღამე, თითქმის ყოველ ოთხ საათში, მტერი თავს ეხსმობდა პოლკის პოზიციებზე. მაგრამ საქმი მარტო ეს როდია. გერმანელთა ყველა კონტრშეტევას ხუთ-ჯერ და ექვსჯერ უფრო ჰარბი ძალები იღებდა მონაწილეობა. მტრის ქვეითებს ეხმარებოდნენ პაერლიდან თვითმფრინავები და მიწაზე არტილერია: დიასამიძის პოლკის პოზიციებზე 1500-ჯერ მოახდინეს თავდასხმა მტრის თვითმფრინავებმა და ჩამოყარეს 8 ათასამდე ბომბი; მტერი არც ზარბაზნების ყუმბარებს იშურებდა და განუწყვეტლივ უშენდა ტყვიას პოლკის განლაგებას. მაგრამ ქვეითი ჯარის, არტილერიის, ტანკებისა და ავიაციის ამ ქემბარბიტად ჯოჯოხეთურმა შემოტევამ არავითარი შედეგი არ მისცა მტერს. ყველა მს კონტრშეტევა გმირულად იქნა უკუგდებული, და ამასთანავე პოლკმა გაანადგურა მტრის ორ ბატალიონად ქვეითი ჯარი და ორმოცი ტანკი!

პოლკოვნიკი დიასამიძის შავალითი, — ასკვნიდა გაზეთი, — ასწავლის ჩვენს მეთაურებს, არახოდეს არ დაკარგონ სულიერი სიმტკიცე და რა მძიმე ვითარებაშიც არ უნდა ჩავარდნენ, მაგრამ ეპიროთ ხელში ადამიანები.“

მაგრამ რას ნიშნავდა ახლა, მშვიდობიანობის დროს, სწორედ ეს — არახოდეს არ დაკარგოთ სულიერი სიმტკიცე და მაგრად გეპიროთ ხელში ადამიანები? ამაზე მეტყველებს კურსკის გმირული ამბავი.

კაბიტანი ეველ გორელიკი, ორი სხვა ოფიცერი, რამდენიმე მებრძოლი — უდიდეს რისკზე მიდიოდნენ, მზად იყვნენ შეეწირათ ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნდათ — საკუთარი სიცოცხლე. მაგრამ გმირული საქმის ჩასადენად ნებართვა უნდა მიეღოთ პოლკოვნიკ დიასამიძისგან.

— სამი ოფიცერი წყნარად შევედით თაბაშირის ქარხნის დირექტორის კაბინეტში, — მიაშობდა გორელიკი. — პოლკოვნიკი მარტო იყო, მაგიდას უჯდა, ახლომხალ ადარავინ იყო. პატარა ღილაკი და მლიციის რაზმებს გზა შეეკრა. საშუა რაიონში ჩაკეტეს რკინიგზის გადასასვლელიც.

სულ უფრო და უფრო გულთბილად გვიხსნიდა დიასამიძე: — ძალიან კარგი საქმეა, რომ თქვენ მზად ხართ თავი გასწიროთ სამშობლოსთვის. მაგრამ ახევე მზად ხართ სხვების გასწიროთ? ათუელი და შეიძლება ასეული ადამიანიც? თუ აფეთქებას ადგილზევე მოვახდენთ, იქ, სადაც ახლა საბრძოლო მასალა აწყობა, არც ერთი ადამიანი არ დილუპება — ათი ათასობით მცხოვრებთ გახსნავენ, წარმოებების მოწყობილობას გაზიდვენ და, თუშეა ზიანი დიდი იქნება, — საქმარისია გავიხსენოთ, რომ დაინგრევა ერთ-ერთი ყველაზე მოქმედი სარკინიგზო მაგისტრალი, განადგურდება კურსკის სამხრეთის სადგური მთელი თავისი ავტობლოკრებით, კავშირგაბმულობა და სიგნალიზაციით, და მინც ახეთ ვითარებაში ეს ყველაზე მცირე



კურსკის გმირები მოწვეულნი იყვნენ საქ. კომკავშირის XXII ყრილობაზე. ამ ფოტოზე ისინი აღბეჭდილინი არიან საქ. კ. ც. კ. ს. პირველ მდივანთან ან. გ. პ. მთავანძესთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან. გ. დ. ჯავახიშვილთან გულთბილი შეხვედრის დროს.

ფოტო კ. კ რ ი მ ს კ ი ს ა

მსხვერპლი იქნება. მაგრამ მე რომ თანხმობა მოგცეთ, თქვენ მუშაობას შეუდგეთ და ანაზდეულად აფეთქება მოხდეს... წყველა-კრულვის მეტს ჩვენ ვერაფერს დავიძახებთ, და ეს მართებულიც იქნება!

გორელიკი გაუმბა, მერე დიდი ჩემოლიდან, რომელიც პირთამდე ხავხე იყო მთელი ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოსული წერილებით, იმ ადამიანების წერილებით, რომლებიც გულითად მადლობას უთვლიდნენ კურსკის გმირული საქმის მონაწილეებს, ამოიღო ერთი.

— აი პასუხი ყველაფერზე, — განაცხადა კაბიტანმა. — დავიწყე კითხვა. წერილის სათაური იყო — „ვეცნობ ჩემს მეთაურს“. ტომოთე შაოვლოვი, იმ პოლკის სამეთვალყურო პუნქტის ყოფილი რადისტო, რომელსაც სტალინგრადში დიასამიძე მეთაურობდა, გვიამბობდა: „დღის მეორე ნახევარში პაერში ისევ გამოჩნდნენ მტრის ბომბდამშენის ემელონი. დედაშიწა კვინის ბომბების აფეთქებისგან. ორი მხრიდან მოემართებან ტანკები და ცდილობენ მარწუხში ჩვენს მომწვევებას. მანქანების ნაწილი ახერხებს შეჭრას მეთაურის სამეთვალყურო პუნქტის რაიონში. დიასამიძემ, რომელიც დაჭრილი იყო, გადაიძრო ნაბაღი და გასცა ბრძანება — გადაეცით არტილერიისტებს, ციციხლი გააჩაღონ კვარტატზე 28-20.“

— ამხანაგო მეთაურო, — გახსა შეძახილი, — ეს ხომ ჩვენი კვარტატა. — ციციხლი კვარტატზე 28-20, დაუყოვნებლივ!

მეორე ყუმბარა სცდება დიასამიძის მახლობლად. მას ხელიდან გაუვარდა ბინოკლი და წაიქცა. მასთან მიიბრინეს, წამოაყენეს. დიასამიძემ მოითხოვა, უფრო მალა ამწვიტ, კარგად ვერ ვხედავ ბრძოლის მსვლელობას. მტკიცედ მოითხოვა, რომ რადისტმა გაიმეოროს ბრძანება — ციციხლი ჩვენზე!“

...მეორე დღეს, ეველ გორელიკთან საუბრის შემდეგ, საღამო დიასამიძესთან გავატარი. მან გამოკითხა თბილისის, შემდეგ ბათუმის შესახებ, სადაც მას სამსახური მოუხდა ომის დამთავრებისთანავე. საუბარი ჩამოვადლებთ ტომოთე შაოვლოვის წერილის შესახებაც. დიასამიძეს წყნარად გაეღმა და თქვა:

— საბჭოთა არმიის ოცდაათი წლის სამსახურის მანძილზე, მეტადრე ომის დროს, მა თქმა უნდა, არა ერთხელ დამჭირებია გადაემდეგა მძიმე ნაბიჯი და პასუხისმგებლობა მეკისრა მრავალი ასეული ადამიანის სიცოცხლეზე. სულ სხვაანაზად იყო ამაყად საქმი. არც სინდისი, არც კანონი უფლებას არ მაძლევდა მებრძანებია ჩემი ხელქვეითებისთვის, თავის სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო და განეტვირთათ უზარმაზარი მიწისქვეშა საწყობი, რომელიც ხავხე იყო კაცთმოძულე მიტლერების მიერ შენიღბული ყუმბარებით. რა გზას უნდა დავდგომოდეთ? ყველა წიხის მიხედვით, ჩვენ ვალდებული ვიყავით ხელი არ ვეხლო ამ საბრძოლო მასალისთვის, ისე მოგვეწყუ მისი აფეთქება ადგილზევე. ნგრევის ზონაში — რაც დაახლოებით 80 კილომეტრს აღწევდა — ხელმძღვანელობდა მჭიდროდ დახასხეული მუშაობა რაიონი. ნახევარ საათში ოფლის ხელმძღვანელებისთვის უნდა წარმედგინა ჩემი გადაწყვეტილება. წავედი და მოვახსენე, რომ ვენდობი ჩემს მებრძოლებს, ვენდობი მათ ნებისყოფასა და საქმის ცოდნას, რომ მათთან მეც ვიქნები და ჩემს თავზე ვდებულაბ მთელ პასუხისმგებლობას საქმის წარმართვაში-თქო. დამიჯერეს!

— ფინალი თქვენ უკვე იცით, — დასავცხა პოლკოვნიკმა დიასამიძემ. — თუ გენავთ, წამობრძანდით, გაჩვენებთ იმ ადგილს, სადაც აფეთქეს მიწიდან ამოდებული ყველა ყუმბარა და ნაღმი.

რეულ ორას ცამეტი იყო. ყუმბარებისა და ნაღმების ამოდებას მთელი კვადრატული მოუხდნენ და ყოველ წამში მებრძოლთა სიცოცხლე ბეწვევ მიედა.

— აი, კიდევ რა, — გაახსენდა პოლკოვნიკს, — მათ შორის, ვინც პირველად სურვილი განაცხადა გაჰყოლოდა ეველ გორელიკის მიტლერების ხაიდუმლო საფარის გასანადმავად, იყვნენ კომკავშირის: უკრაინელი ვასილი გოლუბენკო, ქართველი გურამ ურუშაძე, ტაჯიკელი კამილ ხაკიმოვი. ჯარში მათი სამსახურის ვადა ამ დროისთვის უკვე გათავებული იყო, კიდევ რამდენიმე დღე, და ისინი შინ უნდა წასულიყვნენ, ურუშაძემ განცხადებაც კი გაგზავნა ტექნიკუმში მიღების შესახებ. სამშობლოსადმი რა დიდი სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული ადამიანი, რა სიმამაცით უნდა იყოს აღსავცხე მისი გული, რომ ჯარში სამსახურის უკანასკნელ დღეებში წავიდეს ისეთ საქმეზე, რომელიც ყოველ წუთში სიკვდილს უქადას!

— თვით კაბიტანი გორელიკიც... — განაცხადა დიასამიძემ. — იგი ერთი წლით უნდა გამგზავრებულიყო კურსკზე. აქ კიდევ ოფლს უნდა ემშობინა. გორელიკმა ცოლი სამშობლიარო ხალხში მოაფანგა და მთხოვა მხოლოდ, ვინცობაა რამე მოხდეს, ჩემს ცოდნეულს უფროადებო და ნუ დამიტოვებთო.

ჩვენი თვალმწივანი ქვეყნის ყოველი მებრძოლი — ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, ჩინეთიდან, ჩეხოსლოვაკიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, ალბანეთიდან, დასავლეთ ევროპიდან მატარებლებითა და თვითმფრინავებით მოდის და მოდის ათასობით წერილები დიასამიძის, კაბიტან გორელიკის, ყველა დანარჩენი მონაწილის სახელზე. ყველა აღფრთოვანებულია მათი უმაგალითო გმირობით, მადლობას უთვლიან, მეგობრობას სთავაზობენ. და სულ ადვილი შესაძლებელია, ბევრ ადამიანს მოაგონდა სტალინგრადის გმირი, მათთვის კარგად ნაცნობი პოლკოვნიკი დიასამიძე.





საქართველო  
საბჭოთაო

# შ ე რ ა

ოგია იოსელიანი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი პ. მახარაძე

მოულოდნელად შეიცვალა ამინდი. სახელდახელოდ გავმართეთ კარავი და ცეცხლთან მოვეწყეთ. დაუბერა. კარავში წვიმის ცივი წვეთები შემოხვევა ქარს, აწკაფწკაფდნენ მეძებრები და ცეცხლს მიეძალნენ.

მაღელვარებით ნადირობაზე გავაბით საუბარი. მართალია, ერთი გულამშიერი მელიისა და სულელი ბაჟიას მეტი ოთხ კაცს არაფერი გავაჩნდა, მაგრამ არც ერთი ჩვენგანი ბედს არ ემდურა, პირიქით, —სამზობაც ბევრი ვიწოდეთ და საყოფიეროც. განსაკუთრებით ძალღმობს ვაქებდით. რატომღაც ყველას მიჩნდა, რომ ამ ჩერჩეტი კურდღლის კვალი მაინცდამაინც მისმა ძალღმა აიღო. ყველაზე მეტად მე გამოვიდეთ თავი, ცოცხალი ტყუილის მოგონებაც კი დამჭირდა, რომ დამემტკიცებინა, ნამდვილად ჩემმა რიონამ იკრა სუნი პირველად ამ ლომ-კურდღლის ნაკვალევსამეთქი.

ამ დროს კარავში ვიღაც, დაუეთხავად შემოიჭრა, ლამის თავით აგლიჯა სახურავი, გრძელტარიანი ნაჯახი კუთხეში მოაყუდა, მოგვესალმა და ცეცხლთან დასაჯდომი ადგილი თავისთავად მოიძებნა. ფეხით მიყარ-მოყარა ძალღმობს, კუნძი მოათრია, მიიმედ ჩამოჯდა და ცეცხლს მიეფიცა.

— აჰ, არ აპირებს გამოდარებას? — ბუხუნა ხმით იკითხა მან და მუგუზლით ნაცარი გაქეპა. ჩემს ძალღს ზედ ცხვირში გაჰკრა ფეხი და იკითხა:

— თქვენ, რაო, ვითომ, ინადირეთ? სველი ქუდი მოიძრო და ქათქათა თავი გამოაჩინა.

— ესა თქვენი მეძებრები? — ისევ იკითხა და ცეცხლს მისეული ძალღმობი კვლავ ფეხით დაიჩრქა.

„ეს მოხუცი მახარად გვიგდებს-მეთქი, გავიფიქრე. ჯერ ერთი, ზრდილობისთვის შემოსვლაც არ უკითხავს და გარეთ გვერეკება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ თუ არა, ჩვენს ძალღმობს მაინც...“

— ეე, ფრთხილად მოხუციო! — ვითომ ხუმრობით წარმოვთქვი მე. — ეს ძალღმობი უბრალო ძალღმობი არ გგონია... მედალოსანია.

— რომელი?

— ა, ბატონო, ეს, — მივუთითე მე. — ეს ცხვირწამწვარი? — წარმოთქვა მან და საჩვენებელი თითი ზედ ღრუნსზე აძგერა ჩემს რიონას.

ამხანაგებს ჩაეცინათ. მე ბრაზი ვეღარ დავმალე და უკმუნად ვესროლე:

— უკეთესი შენ გეყოლება შენმა მზემ, აი... — ჰე-ჰე! — დამცინა ბერიკაცმა. — სწორედ ამ შენს რძუმურ კნუტს მოჰგავდა... — და ისევ წაპკრა რიონას.

— რას ამოიხმე, შე ოჯახქორო, ეს ძალღმობი ხმას ავუწიე მე და ძალღმობი საყელურით დავითრე.

— ჰე-ჰე! — ისევ ჩაიციხა მოხუცმა. — უბე-ში ჩაისვი, ბიძო, უბეში! — რატომ იკადრებთ, ბატონო? — შეეხიტყვა

ახლა მოხუცს ჩვენს შორის ყველაზე თავმდაბალი ლუკა. — ძალღმობი და ძალღმობი, ზოგი ძალღმობი მართლაც უბეშია ჩასამელი.

— რავა ფიქრობ, ახლა, შენ? — მიუბრუნდა ლუკას, — უნახავად და უფიცად მთვლი თუ?

— ასე გამოიძის! — რამდენადაც შემქმლო გესლიანად წამოვიძახე და ძალღმობს თავზე დავუწვი ხელის გადასმა და აღერის.

— ახლა ეს ივარგებს? — ანიშნა ლუკას ჩემს რიონაზე. — ნაფერები, ბიძო, შვილი არ ვარგა, შვილი!

— ასე გგონია შენ? — ნიშნისგებით თქვი მე და რიონა ახლა მუხლებს შორის მოვიმწყვდიე.

ისევ დაუბერა, ცეცხლი აიტაცა და კარავში ნაპერწკლები მიმოფანტა. აწრიალდა რიონა, თავის ქნევა აუტყდა და ბოლოს აწკმუვლდა და აყუფდა. „რა მოუვიდაო“, გაიკვირვეს. ძალღმობს უურიდან მბუტუტავი ნაპერწკალი გამოუგორდა და ჩემს ფეხებთან დაეცა.

— ჰა-ჰა-ჰა! — ერთხმად გადახარხარეს კარავში. — ჰი-ჰი-ჰი! მედალოსანი... ჰი-ჰი-ჰი! — იცინოდა მოხუცი.

ისევ დატრიალდა ქარაშოტი, ისევ შემოიტანა ცივი ზეფები.

— აჰ, მედალოსანი! — თითქოს თავისთვის წარმოთქვა კიდეც სტუმარმა და ცეცხლს გული გამოუშალა.

— მონადირე იქნებით, ალბათ, მოხუციო! — ჰკითხა ლუკამ, როცა ხასიაშოვნოდ აგიზგიზდა ცეცხლი.

— ვიყავი კი! — თავის დაქნევით თქვა მან. — ახლა, ალბათ, თვალს აღარ გიჭრით, ან მუხლი არ გეჩრით, არა?

— თვალს არ მიჭრის! რაზე მატყობ, რომ არ მიჭრის, ან მუხლი რად არ მერჩის?

— არა, მე ისე კი არ მიტყვამს, — ბოლომით დაიწყო ლუკამ. — არა, ძაბუნდა კი არ გიყურებთ, მაგრამ... ისე, ძველებურად... თქვენ, რა საკადრისია და, ბავშვი აღარა ხართ.

— ბავშვი... ბავშვი რა მოსატანია, მარა... — ერთხმად მოტრიალდა. ჩვენს ნანადირევს ახედდახედა და თქვა: — ასეთი ლომ-ვეფხვი მეც შემიძლია დავასრხო.

ეს მე ისევ ჩემს დაცინვად მივიღე და დავაპირე, რაღაც მეთქვა, მაგრამ მოხუცმა ისევ განაგრძო:

— რაც ჩემი ბასარა მომიკლა იმ დასაწვავმა... — რა, ბატონო. ძალღმობს მოგიკლა ვინმემ? — ჩაიკითხა ლუკამ.

— აბა, ძალღმობს მომიკლა. კი კი იყო, კი! — მერედა რამ მოკლა, მოხუციო! — იკითხა ახლა ლუკას გვერდით მჯდომმა და გაწმინდილი თოფი გადალღო.

— მანქანამ მომიკლა! — ჰე-ჰე! — ჩავიცინე მე. — სულელი ძალღმობი შეიძლება ბრმაც იყო...

— არა, მედალი არ ჰქონდა ჩემს ბასარას! — გაღმომკრა მოხუცმა.

— აჰ, მთაში, მანქანა იშვიათია. ეტყობა, არ

იყო ნაჩვევი, — გულისტკივლით უთხრა ლუკამ. — მანქანა ახლა მის მეტი რა ყრია, ეს უფრო ადრე იყო... ახლა ორ ჩემს შვილიშვილსაც ჰყავს, კარგი კია, მაგრამ, როგორც შევხედავ, ღმერთთან ცოდილი ვარ და, მეწყინება. მაშინვე ჩემი ბასარა მომაგონდება. ეჰ, რა ძალღმობი იყო!

მართალია, ამ ბერიკაცზე გულძვირად ვიყავი, მაგრამ შევატყე, ასე იოლად ის ძალღმობს არ შეაქებდა და ლუკას ვუჩურჩულეთ:

— ჰკითხე, ჰკითხე, იქნებ, ვიამბოს, რა ძალღმობი იყო ასეთი.

— თვლებში მოჰყავა? — ისევ ჩაჰკითხა ლუკამ.

— ჰე-ჰე! თვლებში რა უნდოდა, ნეტავ ასეც ყოფილიყო, მაშინ გულსაწვეტიც არ იქნებოდა. თუმცა მანქანა რა შუაშია, ის მისმა ვუქაცობამ დალუშა.

— ფხუ! — გამეცინა მე. — ის ძალღმობი დიდი რაინდი იქნებოდა, უსათუოდ, და ბრძოლაში დამარცხების დარღს გადაყვებოდა.

— მართალი თქვით, — სერიოზულად დამეთანხმა მოხუცი ჩემს ხუმრობაზე, — თქვენ მართალი თქვით.

ახლა ყველას გაეცინა. მხოლოდ მოხუცი არ იცინოდა, ის თავს აკანტურებდა და იმეორებდა: — მართალია, თქვენ მართალი თქვით.

— რა ჯიშისა იყო თქვენი ბასარა? — ვკითხე ფარული ღმილით.

— ჯიშის... როგორ გითხრა, ჩვენებური იყო. დედა აქაური ყავდა და მამა. მამაზე ამბობდნენ, თითქო „მეგლძალიაო“, ვერ გეტყვი. ჩვენებური იყო, ნატრისფერი, მოკლე კისრით და შავი დრუნით, თავი მუდამ მაღლა ეჭირა, ზომბორა კუდიც მუდამ მაღლა ჰქონდა აპრებილი.

— ეგ რა, ჩვეულებრივი ეზოს ნაგაზი ყოფილა. ცხვარშიც ასეთი ძალღმობი იციან, — ჩაუბრუნა მოხუცის გვერდით მონადირემ.

— ზო, მეც ასე არა ვთქვი, ჩვენებური იყო-მეთქი? მაგრამ, როგორ გგონია, ამან უკეთ იცის კვალის მიგნება? — მიათითა ჩემს რიონას. — ან ნადირის თავის დავლა და მორეკვა? იქნებ, გგონია, მგელი რომ მგელია, ის შეხვდებოდა პირისპირ და ტყავს უკან წაიღებდა. ახლა, არ იტყვი, ეზოში რა იყო?

— ეზოს ძალღმობი კარგი იქნებოდა, — დავეთანხმე მეც.

— იყო და როგორი ისე მოკვდა, მიხთვის ხელი არ აუქნევია კაცს. არასოდეს ჩემი ეზოდან ქორს წიწია არ წაუღია, ანც დასაკებნად ვაიმეტებდა ვინმეს. მაგრამ, ეს ჰქონდა წესად, როგორც კი თვალს შეგასწრებდა, უნდა შეჩერებულიყავი, უნდა მიმხვდარიყავი, სულ ერთაა — ვერხად წაუხვიდოდი, რაც უნდა სასწრაფო საქმე გქონოდა, უნდა შეგეცადნა. მოვიდოდა, ერთს აგებდა-დაგებდა, გაგზომაგდა თვალით. მაერს მოი-სუნთქავდა და შემობრუნდებოდა. მერე თუგინდ კისრისტეხით წასულიყავი, ხმას არ ამოიღებდა. ეს იცოდნენ ჩვენმა სოფლებმა. ჩემს ჰიშართან ურემს შეაჩერებდნენ, ცხროსნები ქვეითად



გაივლიდნენ. ცხენებიც ისე შეეჩვივნენ, ჰიშკართან თავისით დაიჩინებდნენ. მახსოვს, ერთხელ მაყარიონს უნდა ამოვლო. უცხონი იყვნენ. მასპინძელს გაეფრთხილებინა: „ასე და ასე, ამ კაცის ეზოსთან ნელა იარეთ, თავი არავინ გაიმეტოს“.

როლი დაუფრებიათ, გაცივებით, ძალმა ასე როგორ დაგაფრებოთო.

ის იყო — ამოყვნი ალმარის. ერთი მათგანი დაწინაურდა, ეტუობოდა, სიძის მახარობელი იყო. ბიჭიც კარგი ჩანდა, ცხენიც მარჯვე ჰყავდა, ჰაერში იქნევიდა მათარას და ცხენზე გაწოლილი გაჰკიოდა.

წამოხტა ბასარა, ჰიშკართან გაჩნდა. ელოდა, მხედარი ბედაურს შეაჩერებს, სვლას უკლებსო. მოახლოვდა ცხენოსანი. ნალები ცეცხლს აჭრქვედნენ ქვაზე, იქნევიდა მათარას ხელს მახარობელი და დახრახოდა ბედაურს. ეზოს შიგნით შეჰყეფა ბასარამ, ეტუობოდა, თავი გაახსენა. ზედ ჰიშკართან დაკვება ნალები გაგუებულმა ცხენმა და გაჰქრა. ადგილიდან მოწყდა ბასარა, ჰიშკარს გადაეწოდა, უხმოდ გამოუდგა. არ ყეფდა, მაგრამ, ეტუობოდა, სიბრაზე ახრჩობდა, გზადაგზა გაგუდულივით ხიხინებდა და გარბოდა. გასროლილ ქვასავით იცოდა სირბილი. დაეწია, გვერდით გაუბრინა ცხენს, ისევ შეჰყეფა, „დამორჩილებას თხოვდა“.

დასწყვიტა მხედარმა და მათარას გადმოწვდა ძალს. შემდეგ აღარ დაუყვია ბასარას, არც შეწყუბულა მათარას დაკვრისთვის, ოდნავ წინ გაუშვა ცხენოსანი, ადგილიდან ავარდა, მოწყდა მიწას და ძუაში წვდა ბედაურს. არ მოეწონა, დაბლა მოუვიდა. ეტუობოდა, კულის ძვალი არ მოყვა კბილებში. უშვა პირი, ისევ წინ გაუშვა, დაეწია, შეახტა და ზედ დაეკიდა. დაფრთხა ცხენი და კაციანად გადაეშვა ხრამში. ძლივს გადარჩა საწყალი ბიჭი. ბედალ ძეძვებზე გარჩა, ცხენი კი მოგვიანებით ძლივს წამოაყენეს უკან მომავალმა მყარებმა.

— ასეთი ძალი მგელზე სანადიროდ იქნებოდა უსათუოდ კარგი, — ჩაურთო ერთმა ჩვენთაგანმა. — თუმცა მგელი ცხენი როდია, ასე იოლად რომ წვდეს ძუაში.

— მგელი? მგლის ბევრი ცოდვა ელო ბასარას. მგელი ჩვენს მთაში უცხო სტუმარი არ იყო, მაგრამ მგელიცაა და მგელიც, მათშიცაა განსხვავება.

სწორედ მისი სიკვდილის წინა წელიწადს დიდი თოვლი დადო. სოფლის ორღობებში მგლები მომრავლდნენ. ერთ ღამეს, ასე მეორე მამლის ყვირლზე, გავარდა თოფი. მეც წამოვავლე ხელი ჩემს ორპირას და პერანგის ამარა გავვარდი გარეთ. გავყევი ძაღლის ხმას. მეზობლის ნაგავი დაეღრჩო მგელს, პატრონს თოფი ესროლნა. მერე ბასარა გამოუდგა, ტყემდე ვსდიეთ. მის კვალს ვილა გაარჩევდა და დაბრუნება ვარჩიე. დიღხანს ვუძახე ძაღლს, არაფრით არ უნდოდა უკან დაბრუნება, ჰამრით მოვართიე სახლამდე. მეორე დღეს ძაღლი არხად ჩანდა. ბევრი ვეძებე და ვუძახე, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვერ გავიგე. მეორე დღის ბოლოს მოლასლასდა. ნაშარს თვალბი მაინც ეშმაკურად უბრწყინავდა. ხტოდა და განუწყვეტლივ კულს იქნევდა.

იმ ხალაგისე იპოვეს ერთი მგელი სოფლის ახლოს. ოთხი დღის შემდეგ — მონადირეები მეორე მგელსაც გადაყრდნენ. თვითონ ჩემს მეზობელს ეცნო. „ეს ის მგელია“. წვრილი საფანტი ჰქონდა თოფში იმ ღამეს. რაც ხელში უცბად მოხვედროდა, ის უფრია. მგლის ტყავში კურდღლის საფანტი ეპოვა. ასე დავსკვნა: ესაა ნამდვილია ჩემი ძაღლის სულთამსუთავიო...

იმ შეჩვენებულს შორს გაეტყუებინა ბასარა. მერე მეც მომიხდა იქით ყოფნა. დიდი ომი გადაეხადათ, ახლომხლო აღარც ბუჩქი იყო, აღარც ფოთოლი, — ალბათ, მთის თავზე წაწეულა და იქ შეგბოდნენ ერთმანეთს. როგორც ჩანდა ციკაბოზე დაგორებულიყვნენ. კლდზე გამდოცივნიულან და ხევში გაეგულა საბოლოოდ.



— ძალიან კარგი ძაღლი კი ყოფილა, ბატონო, — დაურთო ლუკამ.

— აი, ეს მესმის! — თავი დავიქნიე მე.

— პირველად გვესმის, — გამოტყდნენ დანარჩენები.


— ეგ არაფერი, — თავი გაიქნია მოხუცმა და შემშრალი ქულა მორგო. — ეგ არაფერი... ჩვენში ასე კი არ იყო ძველად, სად იყო ეს ფართო ქუჩა, ახლა რომ ასე არხინდა ამობრძანდით მანქანით? ჩვენს ორღობებში აქაური ჩორილა ურემი თუ ამობობდებოდა ან ორი ცხენოსანი თუ გაეტეოდა ქვებიან და კორტოხებიან გზაზე. ამ ოცდაათიოდე წლის წინ დავიწყეთ ეს გზა. დიდი შრომა გადაგვხდა, ოო, დიდი ჯაფა გავიარეთ, უშველა ღმერთმა, ნაღმები ბლომად გვექონდა. ვანგრით კლდეები, ვასწორეთ მთები, ამოვავსეთ დაბლობები, გავდეთ ხიდეები და... მოვიდა სოფელში დიდი ხნის ნანატრი გზა. განათლდა სოფელი, გავახილეთ თვალი, გავერიეთ ქვეყანაში და ერთ დღეს გამოჩნდა მანქანა. გამოდგა სოფელი, ქალი და კაცი მიაწყდა ღობეებს, ატყდა ქოთქოთი და აურჩაური, ბავშვებით დაიხუნძლა ხეები. მეც ვიდექი და მიხაროდა, მიხაროდა ბავშვივით. განა პატარა საქმე იყო სოფლისთვის გზა?

გამოჩნდა მანქანაც. რაიონიდან ხელმძღვანელობა მოჰყვებოდა გზის განხანთან დაკავშირებით. ხელს გვიქნევდნენ, გვესალმებოდნენ, გვილოცავდნენ. ჩვენს შეძახილსა და ტაშისცემაში მისრიალებდა მანქანა. ძაღლები გამობოდნენ ეზოებიდან, მოაწყდებოდნენ ჰიშკარს, შეჩერდებოდნენ, მოკლედ დაუფდნენ, აწრიალდებოდნენ, დაუფდნენ ისევ და, როგორც კი გაუსწორდებოდა ეს რკინის ეშმაკი, ხმას იკმენდნენ. უკანვე გარბოდნენ, გზას შიშის თვალით უცქერდნენ. მანამდე არ გამხსენებია ბასარა, თუმცა — რას ვიფიქრებდი, თუ...

ხმაურზე წამოიწია ბასარამ. ყური ცვიტა, ეტუობოდა, ხმა ვერ შეიცნო, გამოსწია ჰიშკარისკენ, შეჩერდა. ახლოვდებოდა უჩვეულო ხმაური. პირველად შეუფოთდა ბასარა, თვალი გააყოლა, შავი ურჩხული მოგვევდა გზაზე. ისევ დააჩერდა. ეტუობოდა, უკვირდა, რომ ვერსად ცხენს ან ხარს ვერ არჩევდა. შავი იყო მანქანა, მაგრამ არც კამეჩი იყო. შეწრიალდა, თვალი არ მოუცილებია. მანქანა ჰიშკარს გაუსწორდა. შეჰყეფა მოკლედ და ადგილიდან აიწია, გადაეშვა გზაზე და იქუხა, იქეჰა, ცეცხლივით გაუხდა თვალბი, ხმალივით დააშიშვლა კბილები და აედევნა საოცარ მტყეს. გაუსწრო წინ, შემობრუნდა და შეუტია, მერე ჩამორჩა ისევ, დაედევნა, აიწია, მაგრამ შეჩერდა რატომღაც; ახლა ერთი გვერდისა მოუარა, აცალა წინ წახვდა, გაჰყვა ერთ ხანს ასე, შეჰყეფა ზედონედ და შეახტა. ვერსად იშოვა კბილწასავლები, ფეხებზე მაინც მოასწრო დახტომა, გამოუდგა ისევ, ძლივს დაეწია და ახლა ბორბალზე ედგერა. ისროლა თვალმა, ფარზე ახლევინა თავი. გადატრიალდა ჰაერში ძაღლი და გზის გვერდით თხრილში გადავარდა. იმ წამსვე წამოდგა, თავყუბაში სისხლადენილი, ისევ დააპირა გაქცევა, მაგრამ... შორს წასულიყო ურჩხული. იდგა, იდგა და უცქერდა, მანქანა კი მიდიოდა, მიდიოდა ისევ, თითქოს ბუზიც არ აფრენოდეს. მიიშალა უცხენო და უხარო ეშმაკი, ბასარა იმ მხარეს არ აცილებდა თვალს, საითაც ეს მოჩენება გაქარა.

ბევრი ვუძახე, ბევრი ვეხვეწე, ცემაც კი დავუპირე. ბოლოს საუკულებით ჩამოვართიე ეზოში. ჰიშკართან დიდგა, თავებიდან სისხლი ჟონავდა, ახლად დავსებულ თვალზე ბუზი ეხვეოდა, გავლედ ღრუნჩეუ ენაც არ მოუსვამს, არც იმ აბეზარი მწერების მოცილება უცდია. იდგა და თვალი ისევ იქით ექირა. ჭრილობის მოზანა დავუბოძე, არ ჰქნა, წყალი, საქმელი შევაძლიე, ახლოს არ წაიკარა. თითქოს ვილაცას უცდიდა, თითქოს ვილაცის ნახვას ელოდა. როცა უკან მომავალი მანქანის ხმა გაიგონა, ყურები ცვიტა, გავიდა გზაზე, არც ხმა ამოუღია, არც განძრეულა, მხოლოდ უცქერდა ერთადერთი საღი თვალით...

მიუახლოვდა მანქანა. ბასარა ისევ უძრავად იდგა. გაუსწორდა, — არ განძრეულა, ჩაიქროლა გრილით და ის ისევ გაქვევებულ უცქერდა. გაყოლა თვალი, ჩავლის შემდეგაც დიღხანს იყო მიშტერებული იქით, საითაც ეს ყოვლად შეჩვენებული მიიშალა. მერე გვიან ჩამობრუნდა, დაწვა ეზოში, დაიღო თავი თათებზე და ერთხელაც არ მიუხდენია ჰიშკარისკენ. არავის აქცევდა ყურადღებებს, არავის ამჩნევდა. გაირინდა, არც ხმას იღებდა, აღარც ინძრეოდა. დასისხლიანებულ თავპირზე მიხეულ ბუზებსაც არ ერჩოდა. იწვა ასე საღამომდე, არც საღამოს ისურვა წამოდგომა, არც გვიან წავახშმევს. იწვა, იწვა და მოკვდა.













# ჩიხიანი ვაჭარე

ს. გავრულიძე

1920 წელს მენშევიკურმა მთავრობამ დააბრუნა ბოლშევიკების მოზრდილი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ისეთი გამორჩენილი მუშაკები, როგორც იყვნენ ფილიპე მახარაძე, საშა გეგეჭორი და სხვები.

პატიმრები მეტეხის ციხეში მოათავსეს. აშკარა იყო, მათ კარგი დღე არ მოელოდათ.

გარეთ დარჩენილმა ამხანაგებმა მაშინვე დაიწყეს ზრუნვა დაპატიმრებულთა გაქცევის მოსაწყობად, მაგრამ რა გზასაც დაადგინეს, ყველა უვარგისი აღმოჩნდა: პატიმართა ზედამხედველობა გაძლიერებული იყო, ხოლო ციხეზე თავდასასხმელად ძალები არ კმაროდა.

ბოლოს გაქცევის მოწყობა პატარა ჯგუფმა ითავა, რომელსაც აკაცი ალექსისძე ლეკვეიშვილი მეთაურობდა.

ლეკვეიშვილი პარტიის ძველი წევრი იყო, ომში ნამყოფი, ნასაღდათი. მას ჰყავდა ერთი ახლობელი—იაკონო კაპანაძე, რომელიც ბუღალტრად მუშაობდა ციხეში. ამ იაკონოს დახმარებით ლეკვეიშვილი ორთაქალის ციხეში მოეწყო ზედამხედველად. იქვე მისცეს მას პატარა ოთახი საერთო საცხოვრებელში.

ცოტა ხანში აკაცი ციხის საავადმყოფოს უფროსი ზედამხედველიც გახდა. განზრახული გეგმის განხორციელება მოსახერხებელი იქნებოდა, თუ როგორმე შესძლებდნენ ბოლშევიკი პატიმრების მეტეხიდან ორთაქალის ციხის საავადმყოფოში გადასვლას.

ეს საქმეც მოგვარდა: ერთ სისხამ დილას ალყაფის კარებს ბაღრაგით მოაყენეს რამდენიმე პატიმარი.

წითურმა დარაჯმა ზანტად გაიხედა ქუქურტანაში, მერე უზარმაზარი გასაღები მძიმედ გადაატრიალა, დაბალი კარი გააღო და პატიმრები გაატარა.

რაკი საქმე ციხეში შესვლას ეხებოდა და არა გამოსვლას, დარაჯმა უგულოდ გადაავლო თვალი მეზადრაგეთა მიერ წარდგენილ საბუთებს და უზარმაზარი გასაღები კვლავ მძიმედ აჩხაკუნდა შემოსულთა ზურგს უკან.

ლეკვეიშვილს სწორედ ახლა უთავდებოდა მორიგეობა და ორი დღე-ღამე თავისუფალი ჰქონდა. იგი აქამდე მოუთმენლად ელოდა პატიმართა გადმოყვანას, ახლა კი ერთბაშად ნერვიულობამ შეიპყრო.

\*\*\*

ციხის უფროსმა ლეკვეიშვილი მორიგეობის მიღებისთანავე მოიკითხა. ბოლშევიკი პატიმრების ციხის საავადმყოფოში გადაყვანის ამბავი მინისტრ რამიშვილის ყურამდე მისულიყო. მას მაშინვე ციხის უფროსისათვის დაერქვა და ფიცხელი განკარგულება მიეცა—პატიმრები უკანვე, მეტეხში დააბრუნეთ.

ციხის უფროსს სწორედ იმ დღეს ქალაქის დღეობა ჰქონდა და საამისო სამზადისს აეფორიებებინა.

— აჰა, ბრძანების ამონაწერი, ეს პატიმრები დღესვე მეტეხში უნდა დაეაბრუნოთ!

ლეკვეიშვილს ელდა ეცა, მაგრამ არ დაბნეულა.

— დღესვე მოვაშორებ ბატონო, საავადმყოფოს მაგ „ბუნტოვნიკებს“, — გაეჭიმა იგი ციხის უფროსს და სასწრაფოდ გამოვიდა კაბინეტიდან.

მომენტი თითქოს ხელსაყრელი ჩანდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ დღეს კარებს ის დარაჯი იცავდა, რომელიც განთქმული იყო სიმკაცრით და გულბრძოლას ხასიათით. მას ოდნავი ეჭვიც რომ აეღო, ყველაფერს დალუპავდა. მაგრამ არჩევანის საშუალებაც აღარ რჩებოდა. ლეკვეიშვილმა გადასწყვიტა, რისკზე წასულიყო, საბუთები გაამზადა, ამხანაგები გააფრთხილა და შებინდებს დაუწყალოდინი.

\*\*\*

მზე, როგორც იქნა, მთაწმინდის კალთებს ამოეფარა.

ჩამობნეულა.

ლეკვეიშვილმა ერთხელ კიდევ დახედა საათს, გამყალი ქურციკი გამოიძახა და სამორიგეო ოთახში შევიდა.

თუმცა ქურციკი უფროსის მიერ იყო გამოძახებული, შესვლისას მაინც ნებართვა ითხოვა.

— რას მიბრძანებ, უფროსო? — შეეკითხა იგი ლეკვეიშვილს და შორიხლო შედგა.

— ბრძანებს მოუკვდეს პატრონი. მოდი, კაცო, აგერ დაჯექი, რა შორს დამდგარხარ! — ქურციკიქმის ესიამოვნა ეს რბილი ტონი, ახლოს მიიწია, მაგრამ სკამზე მაინც არ დაჯდა.

— დაჯექი, რაღა! — ორთაქალურად მოუქცია აკაცი.

ქურციკივე სკამზე ნახევრად ჩამოჯდა, თითქოს ცალი ფეხი გასაქცევად ჰქონდა მომზადებული.

— თუ კაცი ხარ, ეს წერილი, ვორონცოვის მოედანზე, აქ აღნიშნული მისამართით წაიღე, მერე კიდევ... ჰო, აი ფული, გზად კონიაკი, ძეხვი, ყველი და პური წამოიღე, ერთი სიტყვით, რაც მოგვივა ამ ფულად, სულ მოიტანე და ცოტა რიგვანად მაინც ვივახშმოთ, თორემ მთელი დღეა არაფერი მიჭამია. ცოლი აქ არა მყავს და, ხომ იცი... — თავის გასამართლებლად დააყოლა ლეკვეიშვილმა.

— აჰა, გასწი, აქ შენს მოსვლამდე ყველაფერს მე მივხედავ, ოღონდ, თუ კაცი ხარ, არ დაიგვიანო! ქურციკივე სწრაფად წამოხტა ბრძანების შესასრულებლად და მხოლოდ გზაში მოაგონდა, რომ „უსტავით“ ასეთ დროს სამსახურის რატოვებმა აკრძალული ჰქონდა. ლეკვეიშვილმა რამდენიმე წუთი შეიტაცა და მერე იყვირა.

— ქურციკიქი... სად არის ქურციკიქი!..

— ამ წუთში, ბატონო, აგერ, აქ იყო.

აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ქურციკივე, რასაკვირველია, არ ჩანდა.

— რა ვქნა ახლა, მე უნდა შევასრულო მისი მოვალეობა? იმას კი ვაყურებიან სეირს! — ყვიროდა ვითომ გაბრაზებული და ნამდვილად აღელვებული ლეკვეიშვილი, — გამომძიებელმა პატიმრები დასაჯიბლად გამოიძახა, ეს ოხერი კი მაინცდამაინც ახლა დაიკარგა!

ლეკვეიშვილმა ზედამხედველებს დერეფანში გა-

მოაყვანინა ბოლშევიკი პატიმრები, უბრძანა — ხელები ზურგზე დაეწყაოთ, თავიონ რეკორდერი იშიშვლა და პატიმრები წინ გაძლიერდა.

კარებთან მდგარ დარაჯს წარბიც არ შეუხრია, თითქოს ეს მოკლე კოლონა, მისკენ რომ მიემართებოდა, არც კი აინტერესებდა.

ლეკვეიშვილი ხედავდა, რომ [საქმის წარმატებას] ტეხას თუ წარუმატებლობას, ახლა თვითველი წამი წყვეტდა. გული ყელში ეკვრებოდა, მაგრამ რამდენადაც შეეძლო, თავი შეიკავა და დარაჯს დინჯი ხმით უბრძანა:

— გააღე! დარაჯი არ შერხეულა. მზერა ტყვისასვით ცივი ჰქონდა.

„პატიმრებს“ უკვე იარაღი უდევთ ჯიბეში, მაგრამ ახლა ამ იარაღის ამოქმედება საქმეს გართულებს. ამ ზომას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მიმართონ.

— გააღე! — ხმას აუწია ლეკვეიშვილმა და შეუვალა ტონი ჩაბეჭდა ბრძანებას, თანაც ოდნავ აიქინა ის ხელი, რომელშიაც რევივოლვერი ეჭირა. გასაღები თითქოს ინერციით წავიდა საკეტის ხერხელსაყენ.

ლეკვეიშვილს ჩინი დაეკარგა წუთიერად, სამაგიეროდ სმენა დაეძაბა და უცდის; როდის გაივინებს სასურველ ჩხარუნს და კარის კრიალს. პატიმრებიც არა ნაკლებ ლეღავენ. საშა გეგეჭორი ყავარჯენს ნერვიულად ატრიალებს, ზოგმა უკვე ფრთხილად გააცოცა ხელი ჯიბისკენ...

როცა გასაღებმა გაიტყაცუნა, დარაჯი მხოლოდ მაშინ შერხუნდა და კარის სახელური თავისკენ მოიზიდა.

კარი მძიმედ გაიღო.

ალყაფში ჯერ ლეკვეიშვილი გავიდა და კარებისკენ შემობრუნებულმა თითო-თითოდ დაუწყაო გადთავლა ამხანაგებს.

კარი ისევ ჩაიკეტა ყოფილი პატიმრების ზურგს უკან.

მაგრამ ჯერ საფრთხეს მთლად არ გაუვლია. ციხის კედელსა და ქუჩას შუა პატარა მოედანი აუღელვებლად უნდა გადაიარონ... და მერე...

მერე ყველაფერი ერთბაშად მიწყნარდა. ნაპატიმართა ჯგუფი ერთბაშად დაიფანტა, თითქოს სიბნელეში დადნა.


ორთაქალის ციხემ მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გაიგო ბოლშევიკი პატიმრების გაქცევის ამბავი.







## „ოთარაანთ ქვრივი“



ყოველი ახალი ქართული ფილმის გამოსვლას სიხარულით ხედავს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა. კინო-სტუდიის ქართული მა ფილმმა „უკანასკნელად გამოუშვა ახალი მხატვრული ფილმი „ოთარაანთ ქვრივი“. ეს სურათი მიეძღვნა დიდი ქართველი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 წლისთავის იუბილეს. ფილმის შემქმნელთა წინაშე დიდი და რთული ამოცანა იდგა; ვერანაშე გაეცოცხლებინათ ილიას უკვდავი გვირგვინი. სცენარი დასწერეს მწერალმა აკ. ბელიაშვილმა და რეჟისორმა მიხ. ჭიაურელმა.

გამოჩენილმა კინორეჟისორმა მიხ. ჭიაურელმა ახალი შემოქმედებითი გამარჯვება მოუტანა ჩვენს კინოხელოვნებას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოთარაანთ ქვრივის დაუვიწყარი სახის შემქმნელმა, გამოჩენილმა მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ თავისი თამაშით განსაზღვრა ფილმის დიდი წარმატება. ცხოვრებისეული სიმართლე, ღრმა დრამატიზმი, ყოველ ცალკეულ განცდასთან დაკავშირებული შესაფერისი გამომეტყველება, ანცვიფრებს და იპყრობს მაყურებელს. გიორგის დამამახსოვრებელი სახე შექმნა ნიჭიერმა ახალგაზრდა მსახიობმა გ. შენგელიამ.

„ოთარაანთ ქვრივი“ ქართული კინემატოგრაფიის კიდევ ერთი დიდი გამარჯვებაა.

ახალგაზრდა მსახიობი გ. შენგელია გიორგის როლში.



ოთარაანთ ქვრივი—ვ. ანჯაფარიძე. კესო—გ. ჟორჯოლიანი, გრილი—ანდრონიკაშვილი.





ქართული  
ბიბლიოთეკა



ოთარანთ ქერივი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო  
ანჯაფარიძე.





## პეპრა შაჰაჰაჰა

ვაჭვენებთ რამდენიმე ფურცელს ყოფილი სამხედრო კორესპონდენტის პ. შამათავას საფრთხილ დღიურიდან, ამ გულწრფელ ჯარისკაცურ სტრიქონებში ნამდვილი სიბრძნეა მოხსრობილი იმ უბრალო საბჭოთა ადამიანებისა, რომლებმაც დიდი სამაშალო ომის მისხსანე დღეებში თავი იღიბეს უფლები შეიტანეს მტერზე განარჯვების სახალხო საქმეში.

### საუბრი „მიცვალებული“

ფრონტისპირა სოფელში, ჩვენი ნაწილის განლაგების ახლოს, მოწინააღმდეგე თვის ჯაშუშებს ადგილობრივ მცხოვრებთა ტანსაცმელი ჩააცვა და „მიცვალებულის ცხედარი“ გაატარა სასაფლაოსკენ. ამ უჩვეულო შემთხვევამ გააკვირა ჩვენი მებრძოლები, და როდესაც იკითხეს, საით მიასვენებთ „მიცვალებულს“, ჯაშუშებმა მიუგეს, ამ სოფელში მოკვდა და იმ სოფელში ვასაფლავებთო; საბჭოთა მეომრები მალე მიხვდნენ ამ „პროცესის“ საიდუმლოებას და აღმოაჩინეს, რომ „მიცვალებული“ მტრის მსხვილი აგენტი იყო, რომელსაც სადივერსიო მიზნით ფრონტის ხაზი უნდა გადაეღობა. ეს აგენტი და მისი გამცილებლები საიმედოდ უფრებულყვეს ჩვენმა მებრძოლებმა.

### პეპრაჰი თუ კაპოლდეკი?

ერთ-ერთ ბრძოლაში პოლიტბელი ლურსმანაშვილი თავისი ასეულის ერთი ჯგუფით მოწინააღმდეგის ტანებს წააწყდა. ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ პოლიტბელი თავის მებრძოლებისაგან მოშორებით აღმოჩნდა. მტერი ძლიერ და მასობრივად ცეცხლს უშენდა. ლურსმანაშვილი იძულებული იყო პირდაპირი ბრძოლა არ მიეღო, რადგან ეს უაზრობა იქნებოდა და მოხერხებული გზით თავისიანებისაკენ წასვლა არჩია. მაგრამ არც მტრის მოთვალთვალეს ეძინა: შენიშნეს იგი და მეავტომატ-მოტოციკლეტისტი დაადევნეს. მათ შორის მანძილს თანდათანობით მცირდებოდა. შეიქმნა კრიტიკული, თითქმის გამოუვალი ვითარება. მაგრამ არ დაიბნა კომუნისტი მეომარი. მან უმალ შენიშნა მოხერხებული ბორცვი, შესახვედრად მოემზადა და ის იყო მოკლე ჯერი უნდა მიეცა, როცა მოწინააღმდეგის ტყვია მის ავტომატს მოხვდა და ლულა დუგლუგს მოაშორა. ამის შემდეგ მამაც მეომარს მარტო რევოლვერისა და ხელყუმბარის იმედითა დარჩა. მტრის მეავტომატ-მოტოციკლეტისტი ახლოვდებოდა, კიდევ წუთი და ვინ იცის რით და როგორ დამთავრდებოდა ეს უთანასწორო შებრძოლება...

მაგრამ ამ დაძაბულ მდგომარეობაში, როცა პოლიტბელის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, უცბად,

ლურსმანაშვილს ზურგიდან სწრაფი ნახტომის ხმა მოესმა და მობრუნებაც ვერ მოასწრო რომ შაშხანამ იჭიქა. პოლიტბელმა უნებლიეთ მარცხენა მკლავზე მოისვა ხელი — ხომ არ დავიჭერიო, არა, იგი უფნებელი იყო, გულად და მოხერხებული საბჭოთა ჯარისკაცის მარჯვედ ნასროლ ტყვიას, მტრის მოტოციკლეტისტი მიწაზე დაენარცხებინა.

ის ვაჟკაცი, რომელმაც მიუხედავად დიდი საშიშროებისა, მარტოდ არ დასტოვა ასეულის საუვარელი ადამიანი და კრიტიკულ მომენტში ძმური დახმარების ხელი გაუწოდა, ჯარისკაცი ი. სოფრომაძე იყო, რომელმაც ღირსეულად მოიხადა პატრიოტი მეომრის მოვალეობა. პოლიტბელმა ლურსმანაშვილმა მას და ბევრ მისებრ რიგით მებრძოლს ჩაუხერხა ჯარისკაცური აზნაგობისა და მეგობრობის კეთილშობილური გრძობა. ჩვენი არმიის „ოქროს წიგნი“ მოითხოვს საბჭოთა მეომრისაგან, რომ განსაცდელის უმას მარტო არ დატოვოს ამხანაგი, თავი გასწიროს, მაგრამ იხსნას გაჭირვებისაგან, ეს შენაღწივანი გრძობა ჩვეულებად ჰქონდათ გადაქცეული საბჭოთა მეომრებს, რადგან მათ კარგად ესმოდათ ჯარისკაცური მორალის ძალა, რომ ბრძოლაში ურთიერთდახმარება და ხელშეწყობა გამარჯვების საწინდარია, ისინი საქმით ასრულებდნენ ამ ჭეშმარიტ წესს.

### აი, კას ნიშნავს პოლიგზალი!

იმ მსროლელთა პოლიტბელმა ბატალიონმა, რომლის მეთაურის მოვალეობა პოლიტბელში ახლად დანიშნული იყო პოლიტბელი ვ. ლურსმანაშვილი, 1942 წლის 80 ოქტომბერს მიიღო სარდლობის ბრძანება სწრაფი სვლით გასულიყო რაიონული ცენტრის — ქვემო ჩეგემის მისადგომებთან და უეცარი დარტყმით გაენადგურებინა მოწინააღმდეგის გარნიზონი.

ამ ოპერაციას პირველხარისხიანი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მომენტში. სწორედ აქ გადიოდა ერთადერთი გზა, რომელიც აკავშირებდა ჩვენი შენაერთის მნიშვნელოვან ბაზასთან და ზემდგომ შტაბთან. აქედან გერმანელ დამპყრობთა განდევნას შეეძლო ჩვენი ნაწილებისათვის ხელსაყრელი პოზიციის განმტკიცება.

ამოცანა პასუსხაგები, როული და ძნელი იყო. ჯერ ერთი, მოწინააღმდეგეს იქ საკმაო ძალები ჰყავდა და თავდაცვის ბევრი ბუნებრივი შესაძლებლობა უპირატესობას აძლევდა, მეორეც, ერთადერთი მისასვლელი გზა საიმედოდ ჰქონდათ დატყუილი გერმანელ ოკუპანტებს. უგზოობის პირობებში ჩვენს შემტევ მსროლელ ბატალიონს მოქმედების პირველ ეტაპზე ნაკლებ ეფექტურ დახმარებას გაუწევდა გამაძლიერებელი და დამ-

მარე საშუალებანი, რადგან მსროლელებს უმთავრესად, უნდა ემოქმედათ გაუვალმოებდა და ტყეში ასეთ ვითარებაში, ამოცანის მდგომარეობაზე, მტრისათვის მზადებას შეუდგენ ბატალიონში. საგულდაგული მზადების შემდეგ 81 ოქტომბრის დღის სამ საათზე, ფარული და მოხერხებული სვლით, იერიშისათვის გამოისასვლელ ზღუდეს მიაღწია ბატალიონმა.

მეტად საზოგადო და ძნელი გზა განვლეს მეომრებმა. ბნელ და ცივ ღამეში, ტყით დაფარულ კლდოვან მთაში გაბედულად მიიკვლევდნენ ისინი გზას. ცივად კლდეებში ფეხი უცურდებოდათ მეომრებს, მაგრამ კვლავ ფეხზე დგებოდნენ და წინ მიიწევდნენ, ეკლარი სახეს უაქრავდა მათ, მთაში სიცივე უთოშავდა ხელებს, მაგრამ არაფერს შეეძლო მათი შერყევა, რადგან წინ მოწინააღმდეგეს ეკავა მნიშვნელოვანი პუნქტი და მისი განთავისუფლება იყო ნაბრძანები. სწორედ ეს მეომრული მოვალეობა და მაღალი შეგნება აძლევდა მათ დევმირულ ძალას შეუჩერებელი და სწრაფ წინსვლაში.

მოცემულ ნიშანზე დაიწყო იერიში. თავიანთი მარჯვე და დამარგრეველი ცეცხლით მსროლელებს უკვე ქმედით დახმარებას უწევდნენ ჩვენი ტანკისტები და არტილერიისტები. მიუხედავად დიდი სიძნელისა, მათ იერიშის დროს მანძილს შეხდნენ ენერგიულად მიშველდოდნენ თანაპოლელებს.

მედგარი წინააღმდეგობა გასწია გონზე მოსულმა მტრის გარნიზონმა. მაგრამ უკვე გვიან იყო. საბჭოთა ბატალიონის მეომრებმა გაბედულად, თვალისდახმამებაში „მოხსნეს“ მტრის დაცვა, დროულად დაიკავეს მთავარი და გადამწყვეტი პუნქტები აღნიშნულ რაიონულ ცენტრში და ორი დღის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ განადგურეს მოწინააღმდეგის გარნიზონი და გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ქვემო ჩეგემი.

ამ მოკლე მაგრამ ცხარე ბრძოლაში მეომრებს ჩვეული მამაცობითა და მოხერხებულობით წინ მიუძღვოდა და აღაფრთოვანებდა პოლიტბელი ვ. ლურსმანაშვილი. იგი პირველი შეიჭრა თავისი მოიერიშეთა ჯგუფით რაიონულ ცენტრში. მასთან ერთად ბრძოლაში თავი ისახველად კომუნისტებმა ნამორაძემ, ლაშხმა, ლაპაშვილმა, გვახარამ, ქვლესსაშვილმა და სხვ. სარდლობამ ღირსეულად დაფასა მამაცთა ახალი საბრძოლო წარმატება.

ამ საბრძოლო ოპერაციაში ახალი ძალით გვიჩვენა ჩვენი მეომრების არა მარტო მამაცობა და თავგანწირვა, არამედ მათი მეომრული სიმწიფე, დასტატება, უნარი — ყოველგვარ ვითარებაში ჩინებულად შეასრულონ დაქისრებული საბრძოლო ამოცანა.

### გოლარ ნარსია

## პრენისის ბრძოლა, დავით მაჩაბელი...

დაფდაფას ხმაზე მიჰყვებიან დავით მაჩაბელს, დაუკარ დავით!.. სიმრავლითა მტრებმა დაგვიჩაგრეს. დაუკარ ისე, რომ ძარღვებში სისხლი აჩქარდეს და ბრძოლის შინი გაუღვივდეთ ქართველ ვაჟკაცებს, — დაუკარ დავით!..

ლამის არის მტრებმა დაგვჯანხნეს. მაგ ჰამქართია, მაგ დასითა დროზე მოხვდები, ეს, ვის მიწაზე მოთრეულა ოხერ-მოხეტე — წყალობის თვალთ, ღმერთო, თუ ხარ... ქართველთ მოხედე და სამყაროდან ურჯულონი ისე მოხვეტე, რომ ვერახოდეს ვერ მოვიდეს ოხერ-მოხეტე. კრწანისის ველი ცეცხლისაგან გადაპარსულა, კრწანისის ველი ამოჩიქნა ხმალია სპარსულმა, კრწანისის ველი სისხლისაგან გავარდისფერდა, ქართველთა გულში ხანძარს აჩენს დაფდაფის ცემა...

დაუკარ დავით!.. მოგყვებიან დავით მაჩაბელს. ირაკლის გორდა მოქნეული მზის შუქს ირეკლავს, მტერი ათასჯერ მეტი არი... რა ჰქნას ირაკლიმ? მაინც საშველი ვერაგათთვის არ ჩანს აღარსად და შიშის ზარი დასცემია მამამადალასა. ზე, მაჩაბელო! სხვა ძალა აქვს თურმე დაფდაფსა, მაგრამ ეგ შენი ვაჟკაცობა ცრემლად დაფსად. დავით გეძახი... შენიანი სისხლით-ხორცითა, ზე, მაჩაბელო!.. საქართველო კვლავ აღორძინდა და მიხარია — ქართველი ვარ სისხლით-ხორცითა. ჩვენი მიწიდან წათრეულა ყველა მოხეტე, რომ საქართველო კვლავ წაღკვან? ეს არ მოხდება, მტერი ვერ მოვა ქართულ მიწის მოსაოხრებლად. — ზე, მაჩაბელო!.. საქართველო კვლავ აღორძინდა და... მიხარია ქართველი ვარ სისხლით-ხორცითა.



# საქართველოში მეტალურგიული მრეწველობის განვითარება დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე. მანამდე საქართველო ტექნიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მეტალურგიული ქარხნები თითქმის არ არსებობდა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ჩათახის თუჯისა და თბილისის სპილენძსაგლინავ ქარხნებს თავისი პრიმიტიული და უბადრუკი ტექნიკური მოწყობილობით.



საქართველოში მეტალურგიული მრეწველობის განვითარება დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე. მანამდე საქართველო ტექნიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მეტალურგიული ქარხნები თითქმის არ არსებობდა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ჩათახის თუჯისა და თბილისის სპილენძსაგლინავ ქარხნებს თავისი პრიმიტიული და უბადრუკი ტექნიკური მოწყობილობით.

ამჟამად, საქართველო მდიდარი ინდუსტრიული რესპუბლიკაა, რომელსაც აქვს მძლავრი მეტალურგიული ცენტრები. ქართული ფოლადის ნაწარმი გადის საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, შორეულ არგენტინაში, გერმანიაში და ჩინეთში. მთელს საბჭოთა კავშირშია განთქმული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა თავისი მაღალხარისხიანი პროდუქციით და ბრწყინვალე მეცნიერული ტრადიციებით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს ქართველი მეტალურგები ახალი მიღწევებით შეხვდნენ.

წარმატებით მუშაობენ ქართველი მეცნიერი მეტალურგები, რომლებიც ნერგვენ წარმოებაში ახალ საინტერესო მეთოდებს, ატარებენ მნიშვნელოვან გამოკვლევებს. წარმატებითაა გადაწყვეტილი რესპუბლიკის მეტალურგიული ცენტრების ადგილობრივი კადრებით უზრუნველყოფის საკითხიც. მრავალი ახალგაზრდა ქართველი მეტალურგი მუშაობს საბჭოთა კავშირის სხვა მეტალურგიულ ქარხნებში.

ხოლო როდის იყო ის გზა, რომლის

გავლაც მოუხდათ პირველ ქართველ მეტალურგებს, მათ დიდი დედალი მიუძღვით ქართული მეტალურგიის განვითარების საქმეში, საქართველოში მეტალურგიული ცენტრების მშენებლობის მიზანშეწონილობის დასაბუთების, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების შესწავლა-დაანგარიშების და კადრების გამოწრთობის საქმეში.

ქართული მეტალურგიული მეცნიერების აღორძინება ფაქტიურად იწყება 1922 წლიდან, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. სხვა ტექნიკურ დარგებს შორის იყო მეტალურგიის განხრაც, რაც დიდი ქართველი მეცნიერის, ჩვენში მეტალურგიის პიონერის გ. ნიკოლაძის უდიდესი დამსახურებაა. გ. ნიკოლაძე თავისი მრავალმხრივი ნაყოფიერი მუშაობის უდიდეს ნაწილს უთმობდა მეტალურგიას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სახელგანთქმულ მეცნიერებთან — კურაკოსთან და ბარდინთან (ახლა სსრკ მეც. აკ. ვიცე-პრეზიდენტი) ერთად მუშაობდა დონბასის მეტალურგიულ ქარხნებში. საქართველოში ჩამოსვლის

შემდეგ გ. ნიკოლაძე მთელი ენერჯით შრომობდა საქართველოში მეტალურგიის აღორძინებისათვის, სწავლობდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს, სათავეში უდგებოდა ყოველგვარ ახალ წამოწყებებს და, ამგვარად, საძირკველს უყრიდა მეტალურგიის კადრების მომზადების საქმეს.


1928 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ცალკე გამოიყო, ინსტიტუტის მუშაობაშიც საკმაო გარდატეხა მოხდა აკად. ნ. მუსხელიშვილის და პროფ. გ. წულუკიძის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში გ. ნიკოლაძე იმყოფებოდა საზღვარგარეთ. საქართველოში მოწვეულ იქნა ცნობილი მეცნიერი აკად. პისარევესკი და მისი მეუღლე პროფ. როზენბერგი. მალე დაბრუნდა გ. ნიკოლაძეც, რომლის თაოსნობითაც გათვალისწინებულ იქნა, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან დაწესებულიყო ლითონების კვლევითი ინსტიტუტი სასწავლო ლაბორატორიებით, ხელმძღვანელად მოიწვიეს აკად. ჩიუვესკი. 1930 წლის შემდეგ უმაღლესი სასწავლებლას მრავალმხრივი რეორგანიზაციის გამო მეტალურგთა კადრების მომზადების

საქმემ დიდი ცვლილება განიცადა. 1935 წელს ქიმიის ინსტიტუტთან გაიხსნა მეტალურგიული განყოფილება, რომელიც შემდეგ ლაბორატორიად გადაკეთდა და ხელმძღვანელად დაინიშნა ალ. ხვიჩია. ლაბორატორიის მეცნიერულ ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა აკად. ბაიჭოვი, რომელიც საქართველოში პირველად 1937 წელს ჩამოვიდა.

გ. ნიკოლაძე დაინტერესებული იყო არა მარტო კადრების მომზადების საკითხით, არამედ დიდი კვლევითი სამუშაოებით. სახელოვანი მეცნიერი გატაცებული იყო ფეროშენადნობთა მიღების რთული და შეუქსაველი პრობლემებით, რომელიც მანამდე უცნობი იყო როგორც საბჭოთა, ისევე საზღვარგარეთელი მეცნიერებისათვის. მისი ინიციატივით 1923 წელს შეიქმნა დიდუბის ფეროშენადნობთა საცდელი ქარხანა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ახალი საბჭოთა ელემენტარული მეტალურგიის წამოწყებისა და განვითარების საქმეში. ქარხანა დააპროექტა გ. ნიკოლაძის მოწვევით ი. ლორთქიფანიძემ, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა იუზოვკაში (ახლანდელ სტალინოში). სწორედ ამ ქარხანაში მიიღო პირველი წრთობა ახალგაზრდა ქართველ მეტალურგთა პირველმა წყებამ, რომლებმაც შემდგომში წარმატებით გააგრძელეს საყვარელი მასწავლებლის დიდი წამოწყებები. საცდელი ქარხანა ამუშავდა 1930 წლის ზაფხულში და ცდების პირველი სერია გრძელდებოდა სამი თვე.

შედევებით ძალზე დაინტერესდნენ ლენინგრადის ლითონების ინსტიტუტის და დნეპროკომბინატის მუშენებლები. მათი თხოვნით და დაკვეთით

გ. ნიკოლაძე დისერტაციას იცავს სორბონის უნივერსიტეტში.





1931 წლის 20 იანვარს დაწყებულ იქნა ცდათა მეორე სერია. მუშაობა საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი სამაყო მეცნიერისათვის. ღამე ქარხნისკენ მიმავალი გ. ნიკოლაძე მოპყვა ქარბუქში და გაიცვდა, მიუხედავად ამისა, მან მთელი ღამე იმუშავა. მეორე დღეს გ. ნიკოლაძე ლოგინად ჩავარდა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

გ. ნიკოლაძის მოწაფეებმა წარმატებით გააგრძელეს მასწავლებლის გამოკვლევები და ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს. გ. ნიკოლაძის ცდების შედეგებს სწავლობდნენ გამოჩენილი მოსკოველი და ლენინგრადელი სპეციალისტები პროფ. მ. მაქსიმენკო, ა. კრამაროვი, პ. შიბულინი, ს. სახარუკოვი. დიდუბის ცდების შემავჯამებელმა მოხსენებამ 1932 წელს ქ. ჩელიაბინსკში ფეროშენადნობთა I საჯარო კონფერენციაზე საერთო აღიარება და მოწონება ჰპოვა. ცდების წარმატებით დამთავრებისათვის დიდი შრომა გასწიეს ა. ხვიჩიამ, ლ. მელაძემ, ი. კეკელიძემ და პ. ჯავახიძემ. ცდებმა სავსებით დაადასტურა, რომ ზესტაფონში შეიძლება ფეროშენადნობთა მძლავრი ქარხნის აშენება. მშენებლობის ტექნიკური ხელმძღვანელობა დაავალეს

მეტად საინტერესო და პრობლემატურია დოც. ალ. ხვიჩიას გამოკვლევები „მონოკაზმზე“, რომლის მოხსენებებმაც მიმდინარე წელს ჩელიაბინსკის და დნებროპეტროვსკის ფეროშენადნობთა და მეტალურგიული საკავშირო თათბირებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ნაშრომი ქებით მოიხსენია აკად. ბარდინმა. გამოკვლევებში წამოყენებულია პერსპექტიული გზა ელექტროთუჯის მიღებისა, რომელსაც ატომური ელსადგურების და გიგანტური ჰესების მშენებლობის პერიოდში დიდი მნიშვნელობა ექნება.

დიდი სამაჟულო ომის პერიოდში ზესტაფონში ამუშავდა პირველი საამქრო, ხარისხიანი ფოლადების მიღებისათვის საჭირო მაღალი სისუფთავის ლითონური მანგანუმის მისაღებად. აკად. რ. ალაძემ ინჟინერ სიორიძესთან ერთად შეიმუშავა მაღალი სისუფთავის ლითონური მანგანუმის მიღების ბრწყინვალე ხერხი, რისთვისაც 1943 წელს მათ მიენიჭათ სტალინური პრემია. ამჟამად რ. ალაძემ სიორიძესთან ერთად მუშაობს მაღალი სისუფთავის ქრომის მიღების ტექნოლოგიის საკითხებზე.

ტექ. მეც. დოქტორის მ. კეკელიძის ბრწყინვალე ნაშრომებმა ქიათურის კარბონატული და ლარიბი



გ. ნიკოლაძე და ბარდინი იუზოვკის (ახლანდელი სტალინი) № 4 ბრძმედთან.

მრავალი საკითხი, დოცენტი გ. მიქელაძე, რომლის გამოკვლევამ სილიკოალუმინის მიღების და მეტალურგიულ პროცესებში მისი კომპლექსური აღმდგენლად გამოყენების საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მრავალი კურსდამთავრებული წარმატებით სწავლობს მოსკოვის, ხარკოვისა და თბილისის ლითონების ინსტიტუტების ასპირანტურაში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებენ მნიშვნელოვან გამოკვლევებში.

ამიერკავკასიის მეტალურგიული გიგანტის აშენებამ გამოიწვია ახალგაზრდა სპეციალისტების დიდი საჭიროება.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, 1949 წელს, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნა მეტალურგიის ფაკულტეტი, ხოლო მომდევნო წელს დაარსდა შავი ლითონების მეტალურგიის კათედრა, რომლის გამგეა დოც. ალ. ხვიჩია. კათედრაზე მუშაობს მსოფლიო მეტალურგი, რუსთავეის გიგანტის მშენებელი და პირველი მთავარი ინჟინერი,

ურალის მრავალი ქარხნის მთავარი ინჟინერი პროფ. ნ. ქაშაკაშვილი. კათედრაზე მოეწყო მრავალი კარგად აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც სტუდენტები პრაქტიკულად იღრმავებენ ინსტიტუტში მიღებულ ცოდნას. ლაბორატორიის ძვირფასი შენაძენია მაღალი სიხშირის უნიკალური ღუმელი, რომლის მსგავსი საბჭოთა კავშირში ორიოდ ინსტიტუტს თუ გააჩნია. ღუმელი საშუალებას აძლევს სტუდენტებმა თვითონ აწარმოონ ლითონის დნობა პრაქტიკული მეცადინეობის საათებში.

მიმდინარე წელს მეოთხე გამოშვების 75 ახალგაზრდა სპეციალისტმა მიიღო წარმოების სავსეობა, როგორც საქართველოს, ასევე საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ცენტრებში. გამოსაშვებ საღამოზე ძველმა მეტალურგებმა გზა დაულოცეს ახალგაზრდა ბრძმედოსნებს, მეფოლადებს და მგლინავებს, რომლებმაც მომავალში წარმატებით უნდა გააგრძელონ ქართველ მეტალურგთა სახელოვანი ტრადიციები.



უკრაინის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ნეკრასოვი, აკადემიკოსი ბარდინი და სპი-ის შავი ლითონების მეტალურგიის კათედრის გამგე დოცენტი ხვიჩია მებრძმედთან საკავშირო კონფერენციაზე ქ. დნებროპეტროვსკში.


ი. ლორთქიფანიძეს, რომელმაც წარმატებით უხელმძღვანელა ამ საქმეს, ხოლო შემდეგში ჩაატარა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ფეროშენადნობთა მიღების ახალი ტექნოლოგიისათვის ქარხნის დირექტორი ი. კეკელიძესთან და სხვებთან ერთად. ეს შრომა 1951 წელს აღინიშნა სტალინური პრემიით. გასულ წელს ი. ლორთქიფანიძე დანიშნეს საკავშირო კომისიის თავმჯდომარედ, რომელმაც შეამოწმა საბჭოთა კავშირის ფეროშენადნობთა ყველა ქარხანა. ამ რამდენიმე თვის წინ ი. ლორთქიფანიძემ მიიღო სსრკ მეც. აკ. ვიცე-პრეზიდენტის აკად. ბარდინის წერილი, სადაც აცნობებს, რომ ი. ლორთქიფანიძეს იწვევენ ინდოეთის ელექტრომეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ტექნიკურ ხელმძღვანელად.

გ. ნიკოლაძის მოწაფეებმა არაერთი და ორი ბრწყინვალე გამოკვლევა აწარმოეს მეცნიერების ამ სფეროში.

მადნების გამოყენების საკითხებზე, გამოიწვია ქიათურის საბადოების მარაგის მთელი გადაანგარიშება. ამჟამად იგი იკვლევს მარგანეცის მადნის ავლომერაციის საკითხებს, რომელიც საბჭოთა კავშირში არსად არ არის განხორციელებული. ცდები გადატანილ იქნება ზამოროფის და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში.

1955 წელს გაიხსნა ლითონის და სამთო საქმის ინსტიტუტი, ხოლო 1958 წლიდან კი მეტალურგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ფ. თავაძე. ინსტიტუტი აერთიანებს 4 ტექნიკურებათა დოქტორს და 32 კანდიდატს. ეს რიცხვი ბევრის მეტყველია. ძველი გამოცდილი მეტალურგების გვერდით წარმატებით შრომობენ ახალგაზრდა მეცნიერებიც: დოც. დ. ოკლეი, რომელმაც გამოიკვლია ლითონების წნევიით დამუშავების

რუსთავეის მილსაგლინავ საამქროში.





# ნაპონია მოგზაურის სვადით

## ნ. თოლორაი

რელიგიას დიდი გავლენა აქვს იაპონიაში, განსაკუთრებით ტაძრების მსახურებს. ტაძრები ფლობენ აუარსებელ მიწას, სარწყავ არხებს და სხვ.

ტოკიოს მთავარ ქუჩად გინჯა ანუ „ფულიანი ადგილი“ ითვლება. ეს ქუჩა გრძელი და ფართოა. აქ თავმოყრილია უნივერსალური მაღაზიები, ბანკები, რესტორნები, კინოთეატრები. იგი ღამით განათებულია სხვა-



ცოცხალი რეკლამა.

დასხვა ფერის ღამიონებით და ათასნაირი რეკლამით.

ომის წლებში ამ ქუჩის ერთ-ერთი მაღალი სახლის პირველ სართულში გამოფენილი იყო ამერიკული ბომბ-დამშენი თვითმფრინავის ნაშესვრეები. იაპონელი ოფიცერი დიდი სიამაყით უხსნიდა ხალხს, თუ რა დიდი გმირული მოქმედებით იქნა ეს „მაერის ციხე-სიმაგრე“ ჩამოგდებული. ომის დროს, იაპონიის სამხედრო ნაწილებში, მათ შორის — ავიაციის, ჩამოყალიბებული იყო ეგრეთ წოდებული „თვითმკვლელთა“ რაზმები. ესენი იყვნენ ნამდვილი ფანატიკოსები. მაგალითად, თუ კი სადმე გაჩნდებოდა მტრის თვითმფრინავი, რაზმის უფროსის ბრძანებით მაშინვე აფრინდებოდა ერთი მფრინავი. ის მოვალე იყო უკან ცოცხალი არ დაბრუნებულიყო, თავის თვითმფრინავით მაერში ეჯახებოდა მტრის თვითმფრინავს, ანაღურებდა მას და თვითონაც იღუპებოდა. იაპონელი იმპერიალისტები ამჟამადნენ ასეთი გმირობით, ასეთი მეთოდით ბრძოლაში ამერიკის დიდი ზარალი მიაყენა, ამ ხერხით ამერიკელთა არა ერთი დიდი ხომალდი ჩანთქა ზღვის უფსკრულში და მრავალი სამხედრო თვითმფრინავი იქნა განადგურებული.

სწორედ იმ ადგილას, სადაც წინათ გამოფენილი იყო ამერიკული თვითმფრინავის ნაშესვრეები, ახლა ამერიკელთა სამხედრო დაწესებულებაა, მის გვერდით კი ამერიკული უნივერსალური მაღაზია.

მასხვს მაშინ, ომის წლებში, ამ ქუჩის ტროტუარზე დახატული იყო ამერიკელი ძია სემის პორტრეტი და ამერიკელი ბერაყი. მოქალაქეები მოვალე თვლიდნენ თავს ამ ნახატზე ფეხით გაეგლოთ და ამით ვითომცდა „მოესპოთ“ ამერიკა. ახლა კი... აქ უღარდებოდა დასერიანობენ ამერიკელი ჯარისკაცები, სამხედრო პოლიციელები. ისინი, ღამაში ქალების გარდა, არავის არ ამჩნევენ.

ტოკიო განთქმულია თავისი მშვენიერი ბაღებით, მათ შორის შესანიშ-

ნავია ხიბია, მეიძი, უენო, ასაკუსა. ხიბიის ბაღში ხარობს იაპონიისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა მცენარე და ყვავილი. აქ უმთავრესად სეირნობენ მდიდრები. ასაკუსას ბაღში დასახვეწებლად მოდიან მშრომელები. თვით ბაღი მდებარეობს მდინარე სუმიდას მარცხენა სანაპიროზე, სადაც უმთავრესად მშრომელები ცხოვრობენ. უენოს ბაღი ითვლება ხელოვნების ბაღად. აქ მდებარეობს კონსერვატორია, იაპონიის ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული მუზეუმი, სამხატვრო გალერეა და სხვა. ამ ბაღში უმთავრესად დაღის სტუდენტობა და ინტელიგენცია. იაპონიაში შესანიშნავი ბაღია ნიკო. არსებობს ასეთი თქმულება: „არ წარმოიქვა სიტყვა „ულამაზესი“, სანამ ნიკოს არ ნახავო“. ეს მართალიც არის. ნიკოს ბაღი შესანიშნავი თავისი სიმდიდრით, ადგილმდებარეობით და, რაც მთავარია, — სილამაზით. აქ ხელუხლებლადაა დაცული ტყეები, ველები, მცენარეულობათა შორის აქ ხარობს კრიბტომერია, ტუთა, კაფარი და მრავალი სხვა. აქვეა ბამბუკის ტყეები. ტყეებში ბევრია ირემი და შველი. ნიკოს ბაღი განთქმულია ტაძრებით, მავზოლეუმებით და სხვა შენობებით, რომლებიც წარმოადგენენ იაპონიის კლასიკური არქიტექტურის ნიმუშებს. იგი თითქმის ყოველდღე სავსეა ტურისტებით, მოგზაურებით. ნიკოს დათვალიერება დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს.

იაპონიაში 400-მდე უმაღლესი სასწავლებელია, მათ შორის, 72 სახელმწიფო უნივერსიტეტი. ტოკიოში დიდი და უძველესი უნივერსიტეტია. აქ სწავლობს 20 ათასამდე სტუდენტი. იაპონიაში სწავლა იწყება 6 წლის ასაკიდან. დაწყებით სკოლებში სწავლა სავალდებულოა. სკოლებში გარდა სავსებისა, გადიან ფიზიკურ მომზადებას, ჭიდაობას, სამხედრო საქმეს. ფიზიკურ მომზადებას სკოლების თითქმის ყველა საფეხურებზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სკოლები და სასწავლებლები ყოველ წელს უწყობენ ათასობით სპეციალისტებს, მაგრამ მათი 80 % უმუშევარი რჩებიან.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ფასიანია. სტუდენტები ვალდებული არიან ყოველ წელს გადაიხადონ 7 ათასი იენი სწავლის ქირა. გარდა სახელმწიფო სასწავლებლებისა, არის კერძო სასწავლებლები. აქ სწავლის ქირა უფრო მეტია.

იაპონელი სტუდენტობა არ არის უზრუნველყოფილი საერთო საცხოვრებლებით, სტიპენდიით. სტიპენდიას იაპონიაში მხოლოდ 9 უნივერსიტეტი იძლევა, მაგრამ მას სტუდენტობის მხოლოდ 50 პროც. დეზულობს. იაპონიაში უძველესი დროიდანაა განვითარებული თეატრალური ხელოვნება. იაპონური კლასიკური თეატრი არ გავს ჩვეულებრივ თეატრებს. აქ როლებს ასრულებენ ცეკვებით და ქესტებით. მსახიობებს ისეთი ტანისამოსი აცვიათ და ისეთი გრიმი აქვთ გაკეთებული, რომელიც მიხედვით მაყურებლები ცნობენ, თუ რა როლს ასრულებენ ისინი, დადებით, თუ უარყოფითს. იაპონელთა ეროვნული კლასიკური თეატრების წარმოდგენა ევროპელებისათვის გაუგებარია, მაშინ როდესაც თვით მაყურებლები, იაპონელები, დიდი ყურადღებით და აღტაცებით უყურებენ მსახიობთა თამაშს.

კლასიკური თეატრები კიდევ იმითაა საინტერესო, რომ აქ ქალების მაგივრად თამაშობენ მამაკაცები და დიდი პოპულარობით სარგებლობენ ისეთი მსახიობები, რომლებიც ყველაზე უკეთესად ასრულებენ ქალების როლს. გარდა კლასიკური თეატ-

რებისა, არსებობენ თანამედროვე თეატრები, სადაც უმთავრესად ბალეტური ნომრებს ასრულებენ. ასევე დგამენ გეიშების ცეკვას. თანამედროვე თეატრებს შორის შესანიშნავი თეატრია „ძენსიდა“, რაც ნიშნავს „წინ“. თეატრალურ წარმოდგენებში დიდი ადგილი უკავია ეროვნულ მუსიკას.

ამ უკანასკნელ წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს კონცერტული გუნდი, ეგრეთ წოდებული „იაპონური მომღერალი ხმები“. მას ხელმძღვანელობს მსოფლიოში ცნობილი ქალი — აკიკო.

ეს გუნდი შედგენილი იქნა დემოკრატიული ინტელიგენციის ინიციატივით. გუნდი თითქმის იაპონიის ყველა კუთხეშია ცნობილი.

ტოკიოს კინოთეატრებში ომის შემდგომ პირველ წლებში უჩვენებდნენ მხოლოდ ამერიკულ სურათებს. ადგილობრივ კინოსტუდიებს არ გააჩნდათ საკმარისი მატერიალური ბაზა, რომ კონკურენცია გაეწიათ მათთვის. ახლა მდგომარეობა ძირითადად შეიცვალა. უფრო ხშირად, ვიდრე წინა წლებში. ეკრანზე გამოდის ეროვნული კინოსურათები, მათ შორის, პროგრესული კინოსტუდიების ნაწარმოებებიც.

იაპონიაში თითქმის ყველგან გავრცელებულია ჭიდაობა. ამას სკოლებშიც ასწავლიან. ტოკიოში თითქმის სისტემატურად ატარებენ შეჯიბრებებს ჭიდაობაში.

ტოკიოს გარეუბნები ისე როდია მოწყობილი, როგორც ცენტრალური ნაწილი, აქ ახლო მდებარე კვარტალებშიც კი, ძალიან ვიწრო ქუჩებია, პატარ-პატარა სახლები, მათ შორის, ბამბუკისგან აშენებული ქოხებიც. მიუხედავად იმისა, რომ ტოკიო მთლიანად ელექტრიფიცირებულია, ზოგიერთ სახლებს ანათებენ პრიმიტიულიად. მათ არა აქვთ საშუალება, რომ გადაიხადონ ელექტროდენის ფასი.

იაპონელების უმრავლესობა ატარებს თავის ეროვნულ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს — მამაკაცები უფრო მეტად ატარებენ შავი ფერის კიმონოს, ქალები კი უფროდ ყვავილებით მოხატულ კიმონოს. რაც შეეხება გოგონებს, ისინიც იცვამენ (12

წლის შემდეგ) კიმონოს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ზურგზე მიმაგრებული აქვთ ბალიში. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უნდა მიეჩვიონ მომავლისათვის ბავშვის ზურგით ტარებას. მართლაც, აქ ქალები ბავშვებს ყოველთვის ზურგით ატარებენ. კიმონო ძალიან გავრცელებული ტანსაცმელია. ქალები (რა თქმა უნდა, ვისაც საშუალება აქვს) ყოველთვის იცვლიან მას და ატარებენ სეზონისა და თვეების მიხედვით. ამერიკაში, მაგალითად, გავრცელებულია ბლისყვავილობა კიმონო. ამ დროს სპეციალური იაპონური ბლის ხე, ეს ბალი სავსემად არ ვარგა, მაგრამ საინტერესოა იმით, რომ ძალიან ღამაზად ყვავილობს და ავრცელებს სასიამოვნო სუნს. ამ თვეში თითქმის ყველგან დღესასწაულობენ ბლის ყვავილობას.

რაც შეეხება იაპონურ ფეხსაცმელს, ეს უბრალო თასით გადაკერილი ხის ქოშებია. ქალაქში, პირველად ჩამოსულს, ძალიან გაუკვირდება ის, რომ დილით ასეთი ქოშებით ჩაცმული მოქალაქეები ჩქარი ნაბიჯით მიეჩქარებიან სამუშაოზე. ეს იწვევს დამახასიათებელ ხმაურს. გეგონებთ ქუჩებში მთელი კავალირია მიდისო. ასეთ ფეხსაცმელს იაპონიაში გეტას ეძახიან.

ეროვნული შემადგენლობის მხრივ იაპონია ერთფეროვანია, 99 პროც. იაპონელებია, სხვა ეროვნების ხალხი აქ ნაკლებად ცხოვრობს. იაპონელი, როგორც წესი, არ შეირთავს სხვა ეროვნების ქალს და იაპონელი ქალი ასევე არ გაჰყვება სხვა ეროვნების კაცს.

იაპონური სახლი დიდი არაა. უმრავლესობა ორი ან სამოთხიანია. სახლი, უმრავლეს შემთხვევაში, გაკეთებულია თხელი ფიცრებისგან ან ბამბუკისგან. ბამბუკს ნაერთოდ იაპონიაში დიდი გამოყენება აქვს. ბამბუკისგან აკეთებენ სახლებს, ხილებს, კბილებს, ნავეს, წყალსადენ მილებს. მრავალგვარ პატარ-პატარა ნივთებსა და სათამაშოს. გარდა ამისა, ბამბუკის ნორჩ ყლორტებს საკმელად იყენებენ.

იაპონურ ოჯახს დიდი კარმიდამო არა აქვს, მაგრამ რაც არის, ძალიან სუფთადაა შენახული. კარმიდამოში დარგულია ბაღის ხეები, მათ შორის ხშირად გვხვდება ხელოვნურად გაზრდილი ლეკორაციული მცენარეები. იაპონურ სახლში ფეხსაცმელით შესვლა არაა მიღებული. შესვლის დროს ყველა ვალდებულია გაიხა-

ტოკიო. ასაკუსს რაიონი.





# მექანიკური კუ გზას აგნებს...



ველოსიპედისტი-ოფიციალტი.

დღის ფეხსაცმელი და მის მაგივრად ჩაიცვას ქოშები. სტუმრებისათვის ასეთი ქოშები ცალკეა მიჩნეული. ოთახში ბევრ სამკაულს ვერ ნახავთ. ყელღებზე ჩამოკიდებულია მხოლოდ ერთი ხალიჩა ან აბრეშუმზე დასატული რამე სურათი. ოთახის ერთ-ერთ კუთხეში იატაკი ცოტა ამალღებულა. იქ დგას დაბალი მრგვალი მაგიდა. მის გარშემო ოჯახის წევრები სხედან აღმოსავლური წესით და სადილობენ. ჩანგლის მაგივრად პატარა ჯონებს ხმარობენ. ოთახში ლოგინი არა აქვთ. დამთ ოთახის ერთ-ერთ კუთხეში აგებენ ქვეშაგებს. დილით კი საგანგებოდ მიჩნეულ ადგილს ინახავენ. ოთახში არსადაა წედმები საგანი. საერთოდ კი, ყველგან დაცულია სიკობტავე და სისუფთავე.

იაპონიაში გვხვდება ორნარი სოფელი: ერთი ჩვეულებრივი — შუაში მთავარი ქუჩითა და ირგვლივ შემოღობილი სახლებით. გლეხების სახლები თითქმის ერთნაირი ტიპისაა, მაგრამ აქა-იქ აღმართულია ქვიტიკირით შემოკავებული კარმიდამო, ქვიტიკან აგებული სახლი, შეღბილი სახურავით. ეს შეძლებულია ან მიწისმფლობელის სახლია. იაპონურ სოფელში ახლაც არის შემონახული ფეოდალური დამოკიდებულება. ვერც ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, ვერც — ეგრეთ წოდებულმა მიწის „რეფორმამ“, ვერ განთავისუფლა იაპონელი გლეხი ფეოდალური ექსპლოატაციისაგან. კაპიტალისტურმა ექსპლოატაციამ კი მეტად გააუარესა გლეხობის მდგომარეობა. საკუთარი მიწა იაპონელ გლეხს არ გააჩნია. ის თვლიდა-თვემდე მუშაობს მიწათმფლობელის მიწაზე, და მოსავლის თითქმის სამ მეოთხედს აძლევს მიწის პატრონს. ამერიკელთა ოკუპაციამ უკიდურესობამდე მიიყვანა მშრომლები. ამერიკელებმა სამხედრო მიზნით დაიკავეს მიწები, სადაც გლეხები მუშაობდნენ. ფუძემდებ ქვემო მიდამოები ბამბუკების ტყეებით იყო დაფარული. ამერიკელებმა ეს ტყე გაჩენეს სამხედრო მანევრების მოსაწყობად, რამაც გლეხობას დიდი ზიანი მოუტანა. ბამბუკის ტყეები აჩრებდა ზვიდან წამოსულ ნიაღვარს. ახლა კი ეს ნიაღვარი დაუბრკოლებლივ ჩამოდის მთიდან და აფუჭებს ათეული ათასობით ჰექტარ ნათეს მიწებს.

ამერიკელთა ასეთი მოქმედება იწვევს გლეხობის ხშირ ორგანიზებულ გამოსვლას ოკუპანტთა წინააღმდეგ მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა, იაპონელი გლეხობა, მუშათა კლასის მტკიცე მხარდაჭერით, აქტიურ ბრძოლას ეწევა თავისი განთავისუფლებისათვის.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, ამ უამრავი ხელსაწყოებით სავსე ლაბორატორიაში კაცი ყურადღებას არ მიაქცევს კუს ფორმის ცისფერ კორპუსს, როცა ის იატაკზე უძრავადაა გაჩერებული. მაგრამ აბა, მოძრაობის დროს ნახეთ!

კუს კორპუსიდან ელექტროძრავის ხმა გაისმა. კუ დაიძრა. წიგნის კარადის კუთხიდან ელექტრონათურის სინათლე გამოდის. მიაგნებს თუ არა კუ სინათლეს? — ინტერესით შესცქერის ყველა. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ იგი ზურგით არის შექცეული ელექტრონათურისკენ.

აი, კუს ადამიანის ფეხი დახვდა წინ. ხხვა ხმაზე გაისმა მისი ზუზუნი, შეჩერდა, უკან დაიხია. მერე მარჯვნივ გაუხვია და წინ წავიდა. ახლა კედელს შეეხო მისი კორპუსი. კუ კვლავ გაჩერდა, უკან დაიხია, უფრო მტკად შებრუნდა მარჯვნივ და აი, ბოლოს მის „თვალებს“ სინათლის სხივი მოხვდა.

კუ დინჯად, ზუზუნით მიემართება სინათლისკენ. მაგრამ როცა სულ ახლოს მივიდა, კორპუსი კარადის გვერდს წამოედო. აბუზღუნდა კუ, უკან დაიხია, ახლა მარცხნივ შეტრიალდა და შემდეგ სულ პირდაპირ გაემართა სინათლისკენ.

კუ კარადის მოფარებულ ელექტრონათურას მიაღწა. ყველა კმაყოფილია. განსაკუთრებით ახალგაზრდა ინჟინერი ოთარ ჩარკვიანი. ვინ იცის მერამდენედ უყურებს საკუთარი ხელით დამზადებულ მექანიკურ კუს, მაგრამ ცქერით ვერ გამძღარა. დგას და იღიმება. სხვები აღტაცებას გამოსთქვამენ.

— კუს მესხიერებაც აქვს, — გვეუბნება ოთარი და გვერდით მდგომ ამხანაგს მიმართავს — მომეცი სასტენი.

სასტენი პირში ჩაიღო. ოთარმა კუ გაასწორა. ელექტროძრავა ჩართო და მერე, მოძრაობის დროს, კუს წინ ფეხი დაახვედრა, თან დაუსტვინა. კუმ უკან დაიხია. როცა ისევ პირდაპირ წავიდა, ოთარმა კვლავ დაუსტვინა. კუ შეკრთა, შეჩერდა.

— მან „ღამიხსოვრა“, რომ სასტენის ხმაზე დაბრკოლება შეხვდა, ამიტომ მეორედ დასტვინისას მანაც შეჩერდა, ეგონა ისევ დაბრკოლება იყო წინ. მაგრამ „მახსოვრობა“ დიდხანს არ შეჩერდა.

ასეც მოხდა. როცა ოთარმა მეოთხედ ჩაბერა სასტენს, კუმ ყურადღება აღარ მიაქცია ამას და დინჯად გზა განაგრძო.

— წარმოდგენილი მაქვს რა იქნებოდა ავტომობილებს რომ ჰქონდით ასეთი თვისება, — ამბობს ერთი — ავტონისპექტორები ხომ ადგილზევე გაჩერებენ წესრიგის დარღვევისას ყველა ავტომობილს, დაუსტვენენ და შორჩა.

— ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს მომავალში — წყნარად სთქვა ცისფერთავლება ქალიშვილმა.

მომავალში... რა ბევრი რამ იქცა სინამდვილედ, ადამიანს რომ განუხორციელებელ ოცნებად ერჩვენებოდა! ვინ იფიქრებდა რამდენიმე წლის წინათ თუნდაც იმას, რომ საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში ჩვენ ენათმეცნიერებაც შევხვდებოდით.

— რამ მოგიყვანათ აქ, — შევეკითხეთ რუსულან კუსრაშვილს, ფილოლოგიურ მეცნიერებთა კანდიდატს — ტექნიკის სამყაროში თქვენ რა საქმი უნდა გქონდეთ? რუსულანს გაუკვირდა.

— აქ ვმუშაობთ.

— მუშაობთ?

— დიახ. ჩვენი ინსტიტუტი (ენათმეცნიერი „თავის ინსტიტუტად“ თვლის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტს) ახლდებს ლექსიკონს მთარგმნელი მექანიკისათვის, რომელიც რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად გადათარგმნის...

მექანიკური კუ ისევ ზუზუნებს.

როგორ არის ის მოწყობილი?

ოთარმა კორპუსი ახსნა. კონდენსატორები, წინააღმდეგობები, რელეები... აი, დენის წყაროც. იმ ადგილას კი, სადაც კორპუსზე ორი „თვალი“ — ნახვრეტი იყო გაკეთებული, ჩვენ ფოტოელემენტები შევამჩნიეთ. მიკ-



ინჟინერი ოთარ ჩარკვიანი „აღვიძებს“ მექანიკურ კუს.

როფონი, უამრავი მავთულები, — ელექტრული წრედები, ელექტროძრავა, რომელი ერთი ნაწილი ჩამოთვალოს?

— „თვლების“ როლს ფოტოელემენტები ასრულებენ, „ყურები“ — მიკროფონია, კუნთების მოვალეობა ელექტროძრავას აკისრია და ბოლოს, კუს „ნერვებია“ ელექტრული წრედები, რომლებიც შეიცავენ გამამლიერებელ ნათურებს და სხვადასხვა რადიოდეტალებს. „მესხიერება“? ავტომატის „მესხიერება“ ეს თბორელეა. თუ კუ ერთდროულად რამე დაბრკოლებას ეჯახება და ამასთან ისმენს სასტენის ხმას (ესე იგი ავტომატი გარნობს „დარტყმას“ და „ბგერას“), მაშინ ეს აღიბეჭდება „მესხიერებაში“ — თბორელეში დენი გადის. თბორელე თავის მხრივ როცა „პირობითი რეფლექსის“ რელეს და ამიტომ როცა შემდეგ კუ სასტენის ხმას გაიგონებს, ჩერდება და მიმართულებას იცვლის.

...ქარგი სათამაშოა არა, ასეთი კუ?

მაგრამ ეს შესანიშნავი სათამაშო, რომელიც აღტაცებაში მოიყვანდა პატარებს და მას, ალბათ, დიდხანს არ დაანებებდნენ თავს, წარმოადგენს კიბერნეტიკულ მოდელს, რომელიც მომავალში გამოყენებული იქნება, როგორც ნერვული სისტემის შესწავლის ერთ-ერთი საშუალება.

სწორედ ამ მიზნით დაამზადა ბრისტოლში ინგლისელმა მეცნიერმა გრეი-ვალტერმა „ცოცხალი“ არსების მოდელი და მისი დანმარებით არკვევდა ნერვული მოქმედებების ზოგიერთ მექანიკურს. ადამიანებისა და ცხოველების ნერვული მოქმედება ხომ ძნელად ემორჩილება ექსპერიმენტალურ დაკვირვებებს.

ასე დაიბადა მსოფლიოში პირველი ელექტრონული კუ. შემდეგში გრეი-ვალტერმა შექმნა სხვადასხვა ტიპის თვითმავალი ავტომატი. მათაც ჰქონდათ „მესხიერება“ და გარემოს პირობების მიხედვით მოქმედებდნენ. ისინი ძლიერ წააგავდნენ მარტივ ცხოველებს.

სადღეისოდ „გონიერი“ ავტომატების დამზადებას დიდ ყურადღებას უთმობენ მეცნიერები, ინჟინრები და კონსტრუქტორები.


მინც სად შეიძლება გამოყენება ჰპოვოს მექანიკურმა კუმ მომავალში?

...ჯოხის გარეშე გაბედულად მიაბიჯებს ქუჩაში უსინათლო ხელში წვრილი ზონარი უჭირავს, რომელზეც კუ არის გამოხმული. უჩვეულო მესხიერების მქონე კუმ ღამიხსოვრა გზა, რომელზეც წინასწარ გაატარა ის მხედველობის მქონე ადამიანმა. და აი, ახლა მას ამ გზაზე უსინათლო მიჰყავს. თუ წინ რამე დაბრკოლება აღმოჩნდება, მოხერხებულად გვერდს აუქცევს.

...მთავრეზე პირველი რაკეტა დაეშვა. რაკეტოდან გამოცოცდა კუ და მოძრაობა დაიწყო მრავალსაუკუნოვანი მტკრით დაფარულ ზედაპირზე. ის გვერდს უქცევს დაბრკოლებებს და გზას პოულობს მთვარის მთებს შორის.

...დიდი აერობორტის თავზე ზოგჯერ ათობით თვითმფრინავი იყრის თავს. ჩვენი ქვეყნის მრავალი მხარვიდან მოფრინავენ ისინი აქ. ხომ შეიძლება შემთხვევით ჰაერში შეეჯახნონ ერთმანეთს? არა. ამას მათ თავიდან ააცილებს სპეციალური მოწყობილობები — ჩვენი დროის კუს შთამომავლობა.

ა. კარბელაშვილი






მეცხრე მხარე

ქვემოთ მოყვანილი ეტიუდი შედგენილია პოზიციური ყაიმის თემაზე. კუსა და მხედრის ბრძოლით ლაზიერის წინააღმდეგ დიდი ხანია დაინტერესებული ვიყავით და ამ მხრივ საკმაო მუშაობაც გვაქვს ჩატარებული. მასალათა ასეთი შეფარდების დროს ყაიმის მიღწევას გარკვეული თეორიული მნიშვნელობაც აქვს. ჩვეულებრივად, კუსა და მხედრის წინააღმდეგ ლაზიერი იგებს. სწორედ ამაში მდგომარეობს ეტიუდის ინტერესი.

პოლანდიის საერთაშორისო კონკურსიდან (ქაღალდი ბ. გურგენიძის).



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

მიუხედავად მატერიალური უპირატესობისა თეთრები აშკარა საფრთხე



აქ გადაიარა ქარიშხალმა.



აქ გადაიარა ხულიგანმა.

ნ.ბ. გ. ლომიძისა

ხის ქვეშ იმყოფებიან. მათი მხედარი დროებით თამაშარეშე მდგომარეობაშია. ასე მაგ. ცუდია 1. მც6? კდ4-ის გამო. ასევე წაგებისაკენ მივყავართ 1. მფხ4? f4-ის გამო. ამიტომ თეთრებს ციკაბო ბილიკზე მართებთ სგლა ფართო გზაზე გასასვლელად.

- 1. d3-d4 კე5-d4
2. კგ1-h2 კდ4-g1!

არაფერს იძლევა 2... კე3 3. მც7 f4 4. მდ5 და ყაიმია.

3. კი2:g1

აყვანა აუცილებელია თუ კუ გადაინაცვლებს h2-c8 დიაგონალზე, მაშინ შავები ადვილად იგებენ 3...კე3! სვლით.

- 3... f5-f4
4. მა8-b6(c7) f4-f3

5. მ-d5'

5. მხ5? h 6 . კ:h2 f2 7. მც3+მფა1 8. კდ6 f1ლ 9. კა3 ლც4+ და შავები იგებენ.

- 5. .... f3-f2
6. მდ5-c3+!

მხოლოდ ასე. 6.კ:f2? h2 7. მც3+ მფხ2 8. მდ1+მფც1 მოგებით

6... მფა2-a1

6... მფხ2? 7. მდ1+გამო

- 7. კგ1:f2 h3-h2
8. კf2-c5 h2-h1ლ
9. კც5-a3 ლh1-b7
10. კა3-c1

და პოზიციური ყაიმია.

კინოზი

ვაჟი: როგორ ზიხარ, ძვირფასო?
ქალი: მშვენივრად, ჩემო კარგო.
ვაჟი: როგორ ჩანს?
ქალი: ძალიან კარგად.
ვაჟი: მამო მოდი, ადგილები შევცვალოთ.

კონცა გვირაბში

ვაჟი: ძვირფასო, მე რომ მცოდნოდა, რომ ეს გვირაბი ასე გრძელია, უბეჭვლად გაკოცებდი.
ქალი: როგორ, განა ეს შენ არ იყავი?!

ცხოვრების ლეჰსი და პაროზა

რედაქტორი: ვერასვლით ვერ წავიკითხე თქვენი ლექსები, რატომ საბუქდ მანქანაზე არ გადაბეჭდეთ?
ავტორი: რატომ არ გადავბეჭდე? ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ლექსების წერაზე დავკარგავდი დროს, მანქანაზე ბეჭდვა რომ ვიცოდე?

ზრდილობიანი ბავშვი

დეიდა პოლი: ტომი, განა შენ არ მოგწონს ეს ღვეზელი?
ტომი: რასაკვირველია, მომწონს დეიდა, მაგრამ იმდენად არა, რომ შევჭამო.

პატარა გოგონა ლოყაგაფხაჩილი დაბრუნდა შინ.

- დაეცი?! - შეტრიალენდა
- ჰო...
- ბევრი იტირე?
- არა... არავინ იყო და...


პიერი მეგობარს ესტუმრა და განცვიფრდა - მეგობარი საშვარეულოში სადილს ამზადებდა.

- კი, მაგრამ შენ ხომ შვარეული გყავდა?
- ეჰ, გათხოვდა!
- რას ამბობ, ვის გაჰყვა?
- მე!

მართალია თუ არა, რომ მხეცები არაფერს ვნებენ ადამიანს, თუ კი მას ხელში ანთებული ჩირაღდანს უჭირავს? - ჰკითხეს ყურნალისტუმბმა აფრიკიდან ახალდაბრუნებულ ერნსტ ჰემინგუეის.

- რა თქმა უნდა, თუ კი ადამიანი ამ ჩირაღდანს თავქუდმოკლდეილი მიაბრუნებდა!

- მე კაბინეტში ვიქნები, - უთხრა დირექტორმა თანამშრომელს, - მაგრამ თუ ვინმე მოვიდა, უთხარი, რომ აქ არა ვარ. თუმცა, ნურაფერს გააკეთებ და თითონვე იფიქრებენ ასე.



გარეკანის პირველ გვერდზე: საბუთა მეომარი სამშობლოს საღარაჯოზე. ნახატი ზ. ლეჟავასა
მეოთხე გვერდზე: რუსთავი. ჩქაროსანი ფოლადისმდნობელი ამირან ფანცულაია.
ფერადი ფოტო ვ. ჯეირანოვისა

რედაქტორი გრ. აბაშიძე სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გვიგინიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა ტექნოლოგიური დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. - რედაქტორის და პ/მგ. მდივნის - 3-52-69, განყოფილებების - 3-95-88.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. შპსი ვ მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწეროლია დასაბუქდად. 28/II-58 წ. გამოც. № 6 ქალ. ზომა 70x108/8. 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11 ტირაჟი - 20.000. შეკვეთის № 24 უფ 00902

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.





ქართული  
ბიზლიროთქვა



პირველი ელექტრომავლის მშენებლები საქართველოში.

ფოტოზე—(მარჯვნიდან მარცხნივ): საამწყობო საამქროს უფროსი ა. გ. კვესელაუა, ზეინკალი ამწყობი—ი. ა. გრიგოლაშვილი, ელექტრომონტაჟის ოსტატი—ვ. გ. ბეჟუაშვილი, უფროსი ოსტატი—დ. ი. ბაკურაძე, უფროსი ინჟინერ-კონსტრუქტორი—გ. ნ. გვანცულაძე, საამწყობო საამქროს ბრიგადირი—ზეინკალი—ნ. ნ. ტალიზინი, მთავარი საამქროს უფროსის მოადგილე—ნ. კ. ფოფხაძე.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

